პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 29 (13150) | პარასკევი, 5 თებერვალი 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

- ემზადებიან არჩევნებისათვის
- ქიმიის ცოდნა — ფართო მასებს!
- მეტი ყურადღება სკოლას
- უცხოეთის ამბები

აგიტპუნქტების ჩირაღდნები

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ

ნაყოფიერად მუშაობს საპროექტო ინსტიტუტის „საქგიპროშახტის“ აგიტკოლექტივი, რომელიც ოთხ ათეულ აგიტატორს აერთიანებს. ისინი ყოველდღიურად ხვდებიან ამომრჩევლებს თბილისის კალინინის რაიონის № 21 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტსა და საცხოვრებელ ბინებში.

აგიტატორებმა უკვე დაამთავრეს ამომრჩეველთა სიების დიდი ნაწილის დაზუსტებაც.

სურათზე: აგიტპუნქტის გამგე ო. კასრაძე (შუაში), აგიტატორები ი. შენგელია (მარცხნივ) და ე. ვარაზაშვილი აზუსტებენ ამომრჩეველთა სიებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ნარმოების დირექტორი

ბიენ მოსთვლის, ამ ათიოდე წლის განმავლობაში რამდენჯერ შესულა ფეიქარი ინჟინერი აკაკი ირაკლის-ძე ქარსანიშვილი კომბინატის დირექტორის კაბინეტში. ზოგჯერ მშვიდად, ზოგჯერაც გაცხარებით უკამათია ხელმძღვანელებთან წარმოების საჭირბოროტო საკითხებზე, რჩევა მიუღია, თვითონაც თავის შეხედულება შეუთავაზებია, მაგრამ აი, ამ ნახევარი წლის წინათ მდგომარეობა შეიცვალა. ახლა ეს კაბინეტი გახდა მისი სამუშაო ოთახი. დღეს აკაკი ქარსანიშვილი საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სიამაყის — გორის ბამბეულის კომბინატის დირექტორია.

ძნელი, მაგრამ ფეიქრისათვის საინტერესო გზა განვლო მან დირექტორობამდე. 1953 წელს მოვიდა იგი კომბინატში ლენინგრადის საფეიქრო ინსტიტუტის დიპლომით ხელში. მუშობდა ოსტატად საქსოვ ფაბრიკაში, შემდეგ — საამქროს უფროსად, ფაბრიკის გამგის მოადგილედ, გამგედ. კომბინატის მთავარი ინჟინრის მოადგილედ და...

კომბინატის დირექტორი ა. ქარსანიშვილი საწარმოო თათბირს თავმჯდომარეობს. დღის წესრიგშია ერთი, მაგრამ მეტად აქტუალური, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი: როგორ გარდაქმნათ გორის ბამბეულის კომბინატი რენტაბელურ, მოწინავე საწარმოდ?

აქ იჩინა თავი დირექტორის მდიდარმა საწარმოო გამოცდილებამ, მისმა ორგანიზატორულმა ნიჭმა. გამოცდილებამ მას უკარნახა, რომ ვერავითარი ტექნიკა ვერ გიშველის, თუ არა გყავს შესაფერისი, კვალიფიციური კადრები. მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა საჭიროა კადრების კვალიფიკაციის ამაღლება. დირექტორის ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს კომბინატის პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, და მალე საწარმო გამოცხადებულ იქნა სასწავლო-საწარმოო კომბინატად. მიზანი ერთი იყო: თვითეულ მუშას უნდა ეამაღლებინა საკუთარი კვალიფიკაცია, დაუფლებოდა მომიჯნავე მეორე პროფესიას, ესწავლა თვითონ და ეხმარებინა თავისი საქმე სხვებისათვის.

მთელი მრავალათასიანი კოლექტივი დაეწყო სწავლას ოსტატობის დასაუფლებლად და უკვე გასული წლის ნოემბერში კიდევაც მიაღწია შედეგს. კომბინატის ზოგმა ფაბრიკამ რენტაბელურად იწყო მუშაობა, ხოლო შარშან მთელმა კომბინატმა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში პირველად, თანაც გადაჭარბებით შეასრულა როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

ეს იყო წარმოების უეიჭათიანი, სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისი უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგი!..

დირექტორი საწარმოს ცენტრალური ფიგურაა. იგი წარმოების დირიჟორია და ამიტომ მის ყოველ გადაწყვეტილებას, მის პირად მაგალითს კი დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს მუშაობის წარმართვაში სადი, ეკონომიური ანალიზის ოპტიმალური მონაცემების მიმართულებით.

დიდი ლენინი გვასწავლის: „უნდა ჩაბეშვიჭრდეთ იმას, რომ წარმატებით მართვისათვის, ბარდა დარწმუნების უნარისა... საჭირო პრაქტიკული ორგანიზების უნარი. ეს ყველაზე ძნელი ამოცანაა, ვინაიდან საქმე შეეხება ათეულ და ათეულ მილიონობით ადამიანთა ცხოვრების ყველაზე ღრმა, ეკონომიურ, საფუძველთა ახლებურად მოწყობას“. ლენინი ამ საქმეს „ყველაზე მაღლიან ამოცანას უწოდებს“.

ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი ყველასათვის, ვისაც აწინაურებენ ხელმძღვანელ პოსტზე, არის ნამდვილი და არა ფორმალური კავშირი პარტიულ და უპარტიო მასებთან. იცოდე მასების განწყობილება — ნიშნავს უზრუნველყო ყველაზე სწორი მიდგომა ცხოვრებისეული პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში. უამისოდ წარმოუდგენელია პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებიც ვითომ არ შორდებიან თავიანთ კაბინეტებს, ემიჯნებიან მასებს, დიდკაცობენ, თავს არიდებენ ადამიანებთან კავშირს და თავიანთ დიდკაცურ განდგომილობას კრებებსა და თათბირებზე წარმოთქმულ მაღალფარდოვან სიტყვათა ბურანში ხვევენ. ასეთი მაინ „დიდკაცობა“, როგორც ცნობილია, ყოველთვის სამარცხვინო შედეგით მთავრდება.

წარმოების ხელმძღვანელი მოვალეა იყოს მოცემულ საწარმოში მომხდარი ყველა მოვლენის ცენტრში. მაშინ მას არ გაუჭირდება კონტროლი გაუწიოს საწარმოს ყველა რგოლს, ყველ უბანსა და საამქროს, სწორი გზით წარმართოს მთელი კოლექტივის მუშაობა. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც ერთი ხელმძღვანელი, არც ერთი ადამიანი დაზღვეული არ არის შეცდომისაგან, და რაკი ასეა, მაშასადამე, საჭიროა ხელმძღვანელიც მოვაქციოთ საზოგადოებრიობის გავლენაში, საწარმოს კომუნისტების გავლენაში. კომუნისტ-ხელმძღვანელს უნარი უნდა შესწევდეს მამაცურად მოისმინოს სამართლიანი კრიტიკა, რა მწარეც და არასასიამოვნოც უნდა იყოს იგი.

სამწუხაროდ, ზოგი დირექტორი ვერ არის თავისი მოწოდების სიმაღლეზე. ეს რომ ასეა, ამას გამოცდილება ადასტურებს.

გასული წლის დეკემბერში ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვებში“ ყალბი საბუთების შედგენით სახელმწიფო თანხების მითვისების ფაქტები. მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებულ იქნა ადმინისტრაციული ზომები. დამნაშავეთა საქმით დაინტერესდა თბილისის ლენინის რაიონის პროკურატურაც. ეს ფაქტია, მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა, ხომ შეიძლებოდა ყოველივე ეს თავიდან აეცილებინათ „ელექტროგამშვებში“, არ მიეცათ ყალთაბანდიანობისათვის გაჭანების საშუალება? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. შეიძლებოდა, მხოლოდ მაშინ, თუ ქარხნის დირექტორი ამხ. გ. დევდარიანი გამოიჩენდა მეტ სიფხიზლეს, პარტიულ პრინციპულობას, დროულად გამოეხმაურებოდა სიგნალებს და გზას გადაუღობავდა ბოროტმოქმედებს.

ქარხანა „ელექტროგამშვებში“ ყალთაბანდიანობის ჯგუფის გამოაშკარავება ერთხელ კიდევ ადასტურებს პარტიის მითითების იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს კადრების შერჩევაში სიფხიზლის გამოჩენას და ძირეულ. პარტიული ორგანიზაციების დაინტერესებას თავისი კოლექტივის ყველა წევრის ბედით, საქციელითა და მორალური სიწმინდით. წარმოუდგენელია ყალთაბანდიანს საშუალება მქონოდათ წლების განმავლობაში ევარჯიშნათ კომბინაციების მოწყობაში, თუ საწარმოს სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ხელმძღვანელები სათანადო გულისყურით მოეკიდებოდნენ შემოსულ სიგნალებს, გამოიჩენდნენ სიფხიზლეს მუშაობაში.

აღნიშნულ ქარხანაში მომხდარ ფაქტს შეიძლებოდა არ დავბრუნებოდით, რომ რედაქციაში კვლავაც არ მოდიოდეს მშრომელთა წერილები, და არ მოითხოვდნენ ქარხანა „ელექტროგამშვებში“ ყალთაბანდების გამოვლენის ფაქტი ფართო საზოგადოების სერიოზული მსჯელობის საგანი გახდეს.

ახლა რესპუბლიკის საწარმოებში ადგეგიენ წლიურ ბალანსებსა და ანგარიშებს, აჯამებენ სამეურნეო-ფინანსური მუშაობის შედეგებს. ეს უაღრესად დიდი და პასუხსაგები სამუშაოა. ანგარიშგების ამ დოკუმენტებით დადგენილი მაჩვენებლების გულდასმითი ანალიზით საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოწოდებული არიან აჩვენონ ახალი რეზერვები, შეიმუშაოს ყველა საჭირო ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებანი და წარმატებით განახორციელონ შვიდწლედის დასკვნითი წლის გეგმის შესრულება.

ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, მშრომელთა მრავალმილიონიანმა არმიამ მხარი დაუჭირეს მოსკოველთა და ლენინგრადელთა ინიციატივას, რომ სამი-ოთხი წლის განმავლობაში მიაღწიონ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მსოფლიო სტანდარტების დონეს.

ამ პატრიოტული ამოცანის წარმატებით გადაჭრაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი წარმოების დირექტორს უჭირავს.

საუბრები გაჩაღდა

გათუმი. (საკ. კორ.). ფართო, ნათელი ოთახი მშვენივრად არის მოწყობილი. შეზობის ფასადს ამშვენებს წითელ მატერიაზე დაწერილი ლოზუნგები, პლაკატები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. ამომრჩეველთა გახარებულებშია ახალი ეურნალ-გაზეთები, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, ჭადრაკი, შაში, კედლებზე გაკრულია ფოტომონტაჟები, დიაგრამები, რომლებიც ასახავენ ქ. ბათუმის ნავსადგურის ისტორიას. აქვეა კუთხე „აჭარა საბჭოთა ხელისუფლების წლებში“. დიაგრამები მკაფიოდ მეტყველებენ ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ზრდაზე.

წავსადგურის პარტიულმა ბიურომ შემოიღო საპატიო დაფა „იდეოლოგიური მუშაობის ენთუზიასტი“. მასში შეტანილი არიან მოწინავე პროპაგანდისტები და აგიტატორები. ამ დაფაზე პირველად წერია აგიტატორი ლ. ჯიბლაძე, რომელსაც საგიტაციო მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია მოძმე ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრა

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 4 თებერვალს მოსკოვიდან ჰანოიში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ე. ფ. ლოგინოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ავიაციის მთავარი მარშალი კ. ა. ვერშინინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი გ. ს. სიდოროვიჩი და საბჭოთა კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ი. ს. შჩერბაკოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გაიცილეს ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

მილოცვა ცეილონელ ხალხს

ცეილონის დამოუკიდებლობის დღის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ცეილონის პრემიერ-მინისტრ ქ-ნ სირიმავო რ. დ. ბანდარანაიკეს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ეროვნული დღესასწაული მიულოცა ცეილონის ხალხსა და მთავრობას. დეპეშაში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის ხალხები ცხოველად ეხმაურებიან დამოუკიდებელი ცეილონის მთავრობისა და ხალხის ღონისძიებებს მიუმხრობლობის პოლიტიკის განხორციელებაში და თქვენი ქვეყნის სასარგებლო წვლილს მშვიდობისმოყვარე საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის“. დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ სსრ კავშირსა და ცეილონს შორის დამყარებული ურთიერთობა — მეგობრობისა და თანაშრომლობის ურთიერთობა, როგორც საფუძველად უდგეს თანასწორობა, ურთიერთნდობა და პატივისცემა, კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა ცეილონის გენერალ-გუბერნატორს ბ-ნ უ. გოპალავას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსრ კავშირისა და ცეილონის მეგობრობა და ურთიერთსასარგებლო თანაშრომლობა წლითიწლობით მტკიცდება და ვითარდება და კარგი შედეგი მოაქვს. ა. ი. მიკოიანმა წარმატებანი და აყვავება უსურვა მეგობარ ცეილონელ ხალხს. (საკდესი).

სკკპ დელეგაცია ულან-ბატორში

ულან-ბატორი, 4 თებერვალი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით აქ უკვე მეცხრე დღეა იმყოფება საბჭოთა კავშირის პარტიული დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი.

სკკპ დელეგაციის წევრები დღეს გაეცნენ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, სახელმწიფო და სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობას. ისინი იყვნენ პარტიის საქალაქო კომიტეტში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში, აგრეთვე ერთ-ერთ სკოლაში. მონღოლი მეგობრები ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ სტუმრებს, უზიარებდნენ მათ მუშაობის გამოცდილებას.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ ორდენი „გმირი დედა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **დილაფრუზს** ებას ყზნის — დიასახლისს, გარდაბნის რაიონის სოფელ სოდანლეღი.
2. **ფიფიას** თამარ ეგის ასულს — კოლმეურნეს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარი.
3. **თავართქილაძეს** მერიემ ხალილეს ასულს — კოტაისკიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აჭარის სსრ ხულოს რაიონი.
4. **ციმიტიას** ლომონი ილარიონის ასულს — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, წალენჯიხის რაიონი.
5. **შოთაძეს** ემინე ჰუსეინის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელი ბზუბზუ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1965 წლის 27 იანვარი.

ჩვენ ვიწერ ეროვნულ ეკონომიკას

ნავთობსადენის „მეგობრობის“ სახეობანი სადგური

პინსკი, 3 თებერვალი. (საკდესის კორ.). **დღეს ამუშავდა საერთაშორისო ტრანსევროპის ნავთობსადენის „მეგობრობის“ პინსკის სატუმბავი სადგური.**

მძლავრმა ტუმბოებმა გაზარდეს ნავთობის მიწოდება მოძმე ქვეყნებში — პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ხელები შორს ამერიკის კომპარტიისაგან!

მოსკოვი, 3 თებერვალი. (საკდესი), პირველი სახელმწიფო საკასრის ქარხნის ოთხი ათასამდე მუშამ და მოსამსახურემ მტკიცედ დაგმო ამერიკის რეაქციის ახალი ლაშქრობა კომუნისტების, ამერიკის მთელი დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. დღეს მიტინგზე შეკრებილებმა მოითხოვეს, რომ ბოლო მოეღოს ამერიკის კომუნისტთა დევნას, რომლებიც სათელი მომავლისათვის ამერიკის მშრომელი ხალხის ბრძოლის ავანგარდში არიან.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის დაცვის მიტინგის მონაწილეები მიესალმნენ მასთან ჩამოსულ ჰ. ლუმერსა და ბ. ნელსონს — ამ კომპარტიის თავლსაჩინო მოღვაწეებს. ტრიბუნაზე გამოკრული ლოზუნგი: „ჩვენ მოვითხოვთ, რომ შეწყდეს ამერიკელი კომუნისტების — ამერიკის შეერთებული შტატების პატიოსანი პატრიოტების დევნა!“ ყველაზე უკეთ გამოხატავს საწარმოს ძალი კოლექტივის გრძნობებს.

მიტინგი გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. ა. ჟელნინმა. მდევნარე სიტყვა წარმოთქვა გამმართველმა ა. ი. პიკალო

მეცნიერება სიუხვის სამსახურში

მეცხოველეობა ქიმიზაციის გზაზე

ჩვენი ლექცია

სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ამოცანების გადაჭრა უშუალოდ დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდების საკითხების გადაჭრასთან. სოფლის მეურნეობის ალმავლობა უნდა მოხდეს ქიმიზაციის, მექანიზაციის, ირიგაციისა და, საერთოდ, წარმოების ინტენსიფიკაციის გზით.

მეცხოველეობის ქიმიზაცია ნიშნავს საკვები ბაზის განმტკიცებას, ხორცის, რძის და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებას.

თუ სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია შეიძლება მინერალური სასუქების წარმოების გადიდებით (როგორც ნიადაგის საკვებისა და ქიმიური ელემენტებით, მასთან მისი რაციონალურად და ეფექტურად გამოყენება), მეცხოველეობის ქიმიზაცია შეიძლება მოხდეს ქიმიის, ბიოქიმიის და მიკრობიოლოგიის მიღწევათა ფართოდ გამოყენებითა და დანერგვით, პირველ რიგში კი ქიმიური საკვებისა და პრეპარატის გამოყენებით, საკვებ რაციონებში ცილებისა და ვიტამინების სათანადო რაოდენობით შეტანითა და გამდიდრებით. საკვები ბაზის განმტკიცებაში და მეცხოველეობის განვითარებაში ეკონომიურად უფრო მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას ქიმიური მეთოდები, ესე იგი საკვები რაციონების ცილებითა და ვიტამინებით გადიდების გზა.

საკვებ რაციონებში ცილების გამდიდრება სინთეზური აზოტოვანი ნივთიერებით (საერთოდ ამონიუმშეკავის წარმოების გადიდება) ხელს შეუწყობს საკვები ბაზის განმტკიცებას, ღორებისა და ფრინველების პროდუქტიულობას 20-25 პროცენტით გაადიდებს.

სინთეზური აზოტოვანი ნივთიერების მარტო 10 პროცენტით გამოყენება ღორებისა და ფრინველების ცილოვან საკვებს 40-50 პროცენტის დონემდე ზრდის. საკვებ რაციონში მცირე ანტიბიოტიკების დოზის დამატება ძალზე ამცირებს ღორებისა და ფრინველების გამოკვების დროს (ღორებისას 20-25 დღით, ფრინველებისას კი — 10-15 დღით).

დიდ ეფექტს იძლევა აგრეთვე ფერმენტების გამოყენება საკვებში, რომელიც ხელს უწყობს ცილების აქტივიზაციას, ბიოქიმიურ პროცესებს და ცხოველების ფიზიოლოგიურ დაჩქარებითს ზრდა-განვითარებას.

მეცხოველეობის საკვების ქიმიზაციის ერთერთ გზად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე უხეში საკვების ქიმიური „ვიტამინებით" გამდიდრება და მისი ისე გამოყენება. ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში დიდ როლს ასრულებს უხეში საკვების გადამუშავება თერმოქიმიური მეთოდით.

სინიშნდის ჩალა და მისი ნარჩენები, მასთან სხვა უხეში საკვები მასა (თივა და სხვა საკვები ბალახები) მცირე რაოდენობით შეიცავენ ქიმიურ ნივთიერებებს, როგორიც არის აზოტი, გოგირდი, ფოსფორი და სხვა. აზოტი და ფოსფორი ძირითადი ქიმიური ელემენტებია არა მარტო ნიადაგის გამოსაკვებ მინერალურ სასუქებში, არამედ საქონლის საკვებ მასაშიც.

უხეშ საკვებ მასაში მცირე რაოდენობით არსებული ყველა ამ ნივთიერების შევსება შეიძლება ხელოვნურად მისი მიკროვიტამინებით გამდიდრების გზით.

თერმოქიმიური მეთოდით უხეში საკვები მასის მიკროქიმიური ვიტამინებით გამდიდრების დანერგვას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის ქიმიზაციის, საკვები ბაზის განმტკიცებისა და პროდუქტების უხვად მიღების საქმეში.

მეცხოველეობისა და მისი საკვების ქიმიზაციის საქმეში დიდ როლს ასრულებს აგრეთვე ბიოქიმიური პროდუქტი ანუ საკვები საფუარი. ცხოველების ამ სახის ცილოვანი საკვების გამოყენება შეიძლება ყველა სახის ცხოველების გამოსაკვებად, მათ შორის ხბოების გამოსაკვებადაც. ამას შეუძლია მოგვცეს რძის დიდი ეკონომია (1 კილოგრამი საჭმელი საფუარი უდრის 6 კილოგრამ რძეს).

საჭმელი საფუარის წარმოებას საქართველოში უკვე ჩაეყარა საფუძველი. ამ პროდუქციას უშვებს ინგურის საჭმელ-საფუარის ქარხანა (იგი მუშაობს ინგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის ნარჩენებზე) და ახმეტის ჰიდროლიზური საფუარის ქარხანა, რომელიც მუშაობს მერქნისა და ხე-ტყის სხვადასხვა ნარჩენების ბაზაზე.

მაგრამ ეს ძალიან მცირე პროცენტს შეადგენს იმასთან შედარებით, რაც ცილებზე მოთხოვნილებაა.

ჩვენს რესპუბლიკას ნედლეულის დიდი ბაზა აქვს მერქნისა და ხე-ტყის ნარჩენების სახით. მისი გადამუშავების გზით 1970 წლისათვის შეიძლება მიღებულ იქნას 100 ათასი ტონა საკვები საფუარი, ხოლო 10-15 წლის შემდეგ — 200 ათასი ტონა.

დიდ პერსპექტივებს იძლევა ადგილობრივი ტორფის გამოყენება ჰიდროლიზური საფუარის წარმოებისათვის საქართველოში. საერთოდ ტორფს იყენებენ ნიადაგის სასუქად. იგი შეიცავს აზოტსა და მრავალგვარ ორგანულ შენაერთებს, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ მცენარეთა კვებაში.

საუკეთესო ნედლეულს წარმოადგენს ინგასთის ტორფი (ლენინაკანის რაიონი). თუ ამ ნედლეულის ბაზაზე აგებულ იქნება ჰიდროლიზური საფუარის ქარხანა 100 ათას ტონის წარმადობისა წელიწადში, იგი რამდენიმე ათეული წელიწადს იქნება საკმარისი (ჩვენ აქ მხედველობაში არა გვაქვს ფოთის, ქობულეთის, ზუგდიდის და სხვა რაიონების ტორფის საბადოები, რომლის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ნიადაგის სასუქად).

დიდ ეფექტს იძლევა ტექნიკური ცხიმის გამოყენება საკონლის საკვებში. ამიტომ საკვები საფუარის წარმოებაში შეიძლება გამოყენებულ იქნას გუმბრინის თიხა (წყალტუბოს რაიონი), რომელიც საკმაო რაოდენობით შეიცავს ცხიმს.

თბილისის მარგარინის კომბინატში გუმბრინის თიხას იყენებენ როგორც ცხიმშემცველ ნივთიერებას. ამ მიზნით იქ აგებულია გუმბრინის სპეციალური საამქრო ტექნიკური ცხიმის მისაღებად. გუმბრინის ნარჩენებს, რაც ტექნიკური ცხიმის მიღების შემდეგ რჩება და კიდევ შეიცავს ცხიმის გარკვეულ პროცენტს, იყენებენ საპნის წარმოებაში.

ცხიმის შემცველი ასეთი თიხების მარაგი საქართველოს რესპუბლიკაში დიდია. ამიტომ ცხიმშემცვლელი თიხების ქიმიურად გადამუშავების შედეგად კიდევ შეიძლება შეიქმნას მეცხოველეობისათვის მდიდარი საკვები ბაზა.

არის პერიოდი (განსაკუთრებით ზამთარში), როდესაც გამოილევა სილოსი, ჩალა, ბალახი, ან არის ყველა ამ სახის საკვები, მაგრამ მობეზრდა ცხოველს და უმადოდ ჭამს. ეს მომენტი უარყოფითად მოქმედებს პირუტყვზე. იგი კარგავს სიმსუქნეს, კლებულობს წველადობა და ნაკლებია ნამატი. ორივე შემთხვევაში (არის თუ არა საკვები) დიდი მნიშვნელობა აქვს „ხელოვნური გაზაფხულის" — მწვანე საკვები კონვეიერის გამოყენებას.

ამრიგად, ქიმიური და ბიოქიმიური მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა ნედლეულის ბაზაზე ფართოდ შეიძლება დაინერგოს მეცხოველეობის ქიმიზაცია, კერძოდ—საკვები ბაზის ქიმიზაცია. ეს დიდად შეუწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებას.

ი. ჟორჟოლიანი.

ზამთრის დღეებს შემოქმედებითად იყენებენ სოფლის მშრომელები. ისინი აგროქიმიურ და ზოოტექნიკურ სკოლებში სწავლობენ მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეებს, ეუფლებიან ცოდნას, რომელსაც შემდეგ შრომაში იყენებენ. სურათზე: ახალციხის რაიონის აწყურის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებთან მორიგ მეცადინეობას ატარებს მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი გ. ნადირაძე (მარცხნიდან მეორე).

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ჩაის უპალერული გასხვლა

ჩაის ბუჩქის ზრდა-განვითარების კანონზომიერებათა ღრმა შესწავლით ადამიანმა ზემოქმედება მოახდინა ჩაის მცენარის ვარჯის (კრონის) ფორმირებაზე და ეს უკანასკნელი წარმოების მოთხოვნილებებს დაუქვემდებარა. ჩაის მცენარის ვარჯის სასურველმა ფორმამ მეჩაიეებს საშუალება მისცა ჩაის გაშენების შედარებული წესიდან გადასულიყვნენ გაშენების შალერულ წესზე.

პლანტაციების გაშენების შალერულ წესზე გადასვლა ფიზიკურად დიდი ნაბიჯი იყო ჩაის კულტურის აგროწესებში. სხვა სიკეთესთან ერთად სწორედ ამ უკანასკნელმა მისცა ფართო გზა ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანის შრომატევადი პროცესების მექანიზაციას.

ჩაის პლანტაციების შალერული წესით გაშენების პირველი წლებიდანვე დაიწყო ზრუნვა ჩაის მოვლა-მოყვანის შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. პირველად მექანიზებულ იქნა ცალკეული პროცესები — კულტივაცია, ორმა გაფხვიერება, სასუქების შეტანა და სხვ.

საბჭოთა კავშირში ორი ან სამი წლის ხნოვანების ჩაის მცენარეს კარგად განვითარებული ორი-სამი გვერდითი ტოტი აქვს. პირველ გასხვლას, აგროწესების მიხედვით, აწარმოებენ მაშინ, როცა პლანტაციაში მცენარეთა რაოდენობის 75 პროცენტი აღწევს 30-35 სანტიმეტრ სიმაღლეს. გასხვლას აწარმოებენ ადრე გაზაფხულზე, აუცილებლად ვეგეტაციის დაწყებამდე, ფესვის ყელიდან 10-15 სანტიმეტრ სიმაღლეზე. მეორე წელს ხდება მეორე გასხვლა უკვე ფესვის ყელიდან 30-35 სანტიმეტრ სიმაღლეზე.

ჩაის პლანტაციის გაშენებიდან 8-9 წლის შემდეგ ბუჩქის ზედაპირის ფორმირება ხორციელდება ფართო და მკვრივად შეკრული ვარჯად და პლანტაცია სრულმოსავლიანი ხდება. ამ დროისათვის ჩაის ბუჩქის სიმაღლე უკვე 60-75 სანტიმეტრს აღწევს. ვარჯი განსაზღვრულ სასურველ ფორმას იღებს. ასეთი ჩაის პლანტაცია შემდგომი წლებისათვის მოითხოვს ყოველწლიურ შალერულ გასხვლას.

ჩაის ბუჩქის მაქსიმალური სიმაღლე (60-75 სმ) აგროწესებით არის განსაზღვრული და დასაბუთებული, მაგრამ ვარჯის სხვა ძირითადი ზომები აგრობიოლოგიური თვალსაზრისით დღემდე შესწავლილი და დასაბუთებული არ არის, თუმცა ამის აუცილებლობა ხელით შრომის დროს არც შეიძლებოდა წარმოშობილიყო. უკანასკნელ წლებში მეჩაიეობის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ დაინერგა ჩაის შალერული გასხვლა, ჩაის ფოთლის კრეფა მანქანებით. **1964 წლის სეზონში ჩაის ფოთლის კრეფაზე სრული დატვირთვით მუშაობდა 179 მანქანა „საქართველო", ხოლო წელს რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში 500-მდე ჩაის საკრეფი მანქანა იმუშავებს.**

ჩაის გასხვლისა და მანქანებით კრეფის დანერგვამ დღის წესრიგში დააყენა ჩაის ვარჯის ძირითადი ზომების ოპტიმალურ სიდიდეთა დადგენის აუცილებლობა.

ჩაის სამრობლემო ლაბორატორიის 1962-1964 წლების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჩაის ვარჯის ძირითადი ზომების ოპტიმალურ სიდიდეებს შეადგენს: 1. 2,05 მეტრი რიგთაშორისებში გაშენებული ჩაის პლანტაციებისათვის: ვარჯის სიმაღლე 0,8 მეტრი, ვარჯის სიმრუდის რადიუსი 0,9 მეტრი და ვარჯის სიგანე 1,7 მეტრი; 2. 1,75 მეტრ რიგთაშორისებში გაშენებული ჩაის პლანტაციებისათვის: სიმაღლე 0,8 მეტრი, სიმრუდის რადიუსი 0,9 მეტრი და სიგანე 1,5 მეტრი. 3. 1,50 მეტრ რიგთაშორისებში გაშენებული ჩაის პლანტაციებისათვის: სიმაღლე 0,7 მეტრი, სიმრუდის რადიუსი 0,7 მეტრი და სიგანე 1,25 მეტრი.

ჩაის ვარჯის ძირითადი ზომების ამ ოპტიმალური სიდიდეების დაცვა უფრო გაზრდის ჩაის საკრეფი მანქანების ეფექტურობას. ეს პარამეტრები წარმოებაში ამჟამად მოქმედ პარამეტრებთან შედარებით ჩაის ბუჩქის მწვანე (დეუთა წარმოქმნის) ზედაპირს ზრდიან (რიგთაშორისების მიხედვით) 5-დან 12 პროცენტამდე. გარდა ამისა, ასეთი ჩაის ბუჩქები შალერული გასხვლის შემდეგ არ მოითხოვენ გვერდების შესწორებას და ასევე ხელით დამატებით კრეფას.

ჩაის სასხლავი აპარატებით შალერული გასხვლის დროს ჩაის ბუჩქს სცილდება ერთწლიანი წამონაზარდების ზედა ნაწილი, იმ ანგარიშით, რომ ბუჩქებზე დარჩეს მაისის წამონაზარდი ერთი ან ორი ნორმალური ფოთლით. სასურველია ნასხლავი მასალის ნაწილი ჩაიყაროს რიგთაშორისებში მულჩის ან ორგანული სასუქის სახით, ნაწილი კი შეგროვდეს სპეციალურ ბუნკერში და გამოყენებულ იქნას საყოფენე მასალად.

აგროწესებით დასაშვებია ჩაის ბუჩქის სიმაღლე შალერული გასხვლის შემდეგ მერყეობდეს 50-75 სანტიმეტრამდე, მაგრამ სიმაღლეში ასეთი მერყეობა მკვთრი არ უნდა იყოს. განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ ჩაის შალერის ზედაპირის ტალღურობას. ისეთ პლანტაციებში, რომლებიც განკუთვნილია ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფისათვის,

გასხვლა საკმაოდ შრომატევადი და მძიმე სამუშაო პროცესია. გარდა ამისა, გასხვლა, განსაკუთრებით კი შალერული გასხვლა, უნდა ჩატარდეს შემჭიდროებულ ვადებში და აუცილებლად დამთავრდეს ჩაის ვეგეტაციის დაწყებამდე.

ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის „საქართველოს" დანერგვა კიდევ უფრო ზრდის ჩაის პლანტაციის გასხვლის მნიშვნელობას და მიუთითებს ამ პროცესზე მექანიზებული წესით ჩატარების აუცილებლობაზე.

შალერული გასხვლის მექანიზაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასხლავი აპარატების შერჩევასა და სწორად გამოყენებას. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ **მექანიზებული კრეფისათვის განკუთვნილი ჩაის პლანტაციები უნდა გაისხლას აუცილებლად იმ სასხლავი აპარატებით, რომელთა სიმრუდის რადიუსი ემთხვევა ჩაის საკრეფი აპარატის სიმრუდის რადიუსს. უნდა დავიცვათ აგრეთვე ჩაის შალერების სხვა ძირითადი გაბარიტული ზომებიც. კერძოდ, ბუჩქის სიმაღლე გასხვლის შემდეგ არ უნდა აღემატებოდეს 70-75 სანტიმეტრს, ხოლო სიგანე — 1,65 მეტრს.**

ჩაის ბუჩქის მექანიზებული გასხვლისა და კრეფის ახალი მეთოდის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს: მეურნეობაში ჩაის საკრეფ მანქანაზე მომგებული ჩაის პლანტაციის საერთო ფართობები იყოფა ორ თანაბარ ნაწილად. პირველი ნაწილის ნაკვეთებზე განხორციელდება მექანიზებული წესით ჩვეულებრივი შალერული გასხვლა, ხოლო მეორე ნაწილის ნაკვეთებზე ჩვეულებრივ შალერული გასხვლა შეიცვლება შალერის ზედაპირის მსუბუქი გასხვლა-გასწორებით.

სასურველია ჩაის შალერების მსუბუქი გასხვლა-გასწორება ეიწარმოოთ თვით ჩაის საკრეფი მანქანით. ამისათვის კი საჭიროა მანქანა „საქართველოს" საკრეფი აპარატიდან მოიხსნათ რეზინის თითები და აპარატი ეამუშაოთ მხოლოდ სასხლავი დანებით. უნდა აღინიშნოს, რომ იქ, სადაც მკაცრი ზამთარი არ იცის, მსუბუქი გასხვლა-გასწორება ხდება გვიან შემოდგომაზე, ხოლო იქ, სადაც შედარებით შკაცრი ზამთარია, ადრე გაზაფხულზე.

ი. ბოგბოხიძე.

საპრობლემო ლაბორატორიის ჩაის სხვლის მექანიზაციის ლაბორატორიის უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ლაგორატორიიდან მინდვრებში

სიკეთის წყარო

სასუქების ნაყოფიერად გამოყენების საჭირბოროტო საკითხებზე მუშაობენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის კათედრის (ხელმძღვანელი პროფ. ი. სარიშვილი) მეცნიერი მუშაკები. კათედრის მაღალკვალიფიციური მეცნიერი მუშაკები გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა ფართო მასშტაბის სამეცნიერო-კვლევითს მუშაობასაც ეწევიან.

კათედრაზე შეიქმნა სპეციალური, სრულიად ახალი სახის ტორფისა და მურა ნახშირების ლაბორატორია (ხელმძღვანელი პროფ. ა. მენაღარიშვილი). ლაბორატორიამ, მიუხედავად თავისი არსებობის მცირე პერიოდისა, უკვე საკმაო წარმატებებს მიაღწია ტორფისა და მურა ნახშირებისაგან ახალი, მაღალნაყოფიერი სასუქების შექმნის საქმეში.

ლაბორატორიის თანამშრომელთა თავდადებული შრომით უკვე მიღებულია და სათანადო დარგის საწარმოთა პრაქტიკული მონაცემებით მასობრივი წარმოებისათვის რეკომენდებულია ტორფიდან მიღებული ახალი ტორფ-მინერალურ-ამონიაკიანი „ტმასი", კონცენტრირებული ორგანულ-მინერალური სასუქი „კომსი" და მურა ნახშირებიდან მიღებული ჰუმინის ორგანულ-მინერალური სასუქი.

სასუქი „ტმასი" მზადდება ტორფის, სუპერფოსფატის და კალიუმის ქლორიდის ნარევის 25-პროცენტიანი თხევადი ამონიაკის ხსნარში დამუშავებით. სასუქი მზადდება ქარხნული წესით (ერთი ტონა ტორფი, 20 კილოგრამი სუპერფოსფატი და 8 კილოგრამი კალიუმის ქლორიდი).

კიდევ უფრო მაღალეფექტურია მეორე სახის ასალი სასუქი — „კომსი", რომელიც წელიწადში 5 ტონის რაოდენობით სავსებით საკმარისია ჰექტარ ჩაის პლანტაციისათვის. გარდა ჩაისა, საუკეთესოა ხორბლის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის ნათესებისა და ხეხილის გამოსაკვებად.

„კომსი" მზადდება იმავე წესით, როგორც „ტმასი", მაგრამ ნარევს 10 პროცენტამდე აზოტს უმატებენ.

ამავე ლაბორატორიაში დამუშავდა ორგანულური ხერხი მურა ნახშირებიდან და ქვანახშირის მრეწველობის ანარჩენებიდან ჰუმატური ორგანულ-მინერალური სასუქების წარმოებისა, რაც მდგომარეობს მურა ნახშირის თერმოქიმიური წესით დამუშავებაში, ამ უკანასკნელის საშუალებით კი მურა ნახშირში მნიშვნელოვნად იზრდება მცენარისათვის საჭირო და აუცილებელი ნივთიერება ჰუმინის მჟავა. ამრიგად დამუშავებული მურა ნახშირი შემდეგ ხელმძღვანელობენ მუშავდება თხევადი ან გაზოვანი ამონიაკით და მიიღება ჰუმინის ორგანულ - მინერალური სასუქი, რომელიც შეიცავს მცენარისათვის ადვილად შესათვისებელ ჰუმინის ნაერთებსა და 55 პროცენტ საერთო აზოტს. ეს 2-3 ტონა სასუქი ჰექტარზე ცვლის 20-25 ტონა ნაკელს. მიმდინარე წელს ახალციხის მურანახშირის სარეწაროზე უკვე დამზადებულია 100 ტონა ახალი სასუქი.

ახალი სასუქის საუკეთესო თვისებაა ისიც, რომ იგი ნიადაგში იხსნება ნელი ტემპით და თანაბრად, რის გამო მცენარე მას თანდათანობით და თანაბრად ითვისებს, რაც საუკეთესო პირობას ქმნის როგორც ნიადაგის, ისე მცენარის მაღალი ნაყოფიერების შენარჩუნებისათვის.

ნ. ჰედია.

• • •

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის მეცნიერ მუშაკები დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის მინდვრის მბრძოლელებს. **კათედრის მუშაკები კოლმეურნეობებში კითხულობენ ლექციებს, გამოჰკავთ სიმინდისა და ხორბლის დარაიონებული ჯიშები და სხვა.**

სურათზე: (მარჯვნიდან)—ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის გამგე პროფ. ნ. ხუნელელი, ლაბორანტები ქ. ციმინტია და ა. აბგლედიანი აკვირდებიან ხორბლისა და სიმინდის სათესლე ჯიშებს, რომლებიც მუხრანის მინდვრებშია ნოყვანილი.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ვენახი—გარჯის სალაპრო

ჩვენი რესპუბლიკის ბუნება და ჰავა ვენახის კულტურის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. მევენახეობა მეტად შემოსავლიანი და რენტაბელური დარგია. ამიტომ ჩვენში მას შეუხელებელი ყურადღება ექცევა.

ახლა სადაკო არ არის, რომ ამა თუ იმ ოპერაციის დაგვიანებით ჩატარება ძლიერ ამცირებს მოსავლიანობას და აუარესებს პროდუქციის ხარისხს. ამიტომ მევენახეობაში მომუშავე აგრონომებმა ცალკეული სახის სამუშაოები ზუსტად უნდა შეუფარდონ რაიონის ეკოლოგიურ პირობებს და გონივრულად განსაზღვრონ სამუშაოთა შესრულების დრო, ხასიათი.

ცნობილია, რომ ზოგიერთი მევენახე ყურძნის მოკრეფის შემდეგ თვითდამშვიდებას ეძლევა ვითომც ყველა სამუშაოს „მოთავსების" გამო, რაც სრულიად უმართებულოა. ცნობილია, აგრეთვე, რომ ყურძნის უხვი მოსავლის მიღებას საფუძველი ეყრება შემოდგომადგვე.

ვენახში ზამთრის სამუშაოებიდან პირველად სრულდება ნიადაგის დამუშავება ვაზის გასაშენებლად. როგორც ცნობილია, რაიონის ეკოლოგიური პირობების მიხედვით ახალი ვენახების გაშენებას ვაწარმოებთ შემოდგომაზე ან გაზაფხულზე. იმ შემთხვევაში, როცა ვენახს შემოდგომაზე ვაშენებთ, ნიადაგის პლანტაჟი (გადაბრუნება) ხდება ზაფხულში, ხოლო გაზაფხულზე გაშენების შემთხვევაში პლანტაჟს აწარმოებენ გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში. ამრიგად, ვენახის გაშენებამდე 2-3 თვით ადრე ნიადაგი ღრმად უნდა გადაბრუნოთ. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ვაზის დარგვამდე ნიადაგმა „დაჯდომა" მოასწროს და იქ არსებული სკვები ნივთიერებები მცენარისათვის ადვილად შესათვისებელ ფორმაში გადავიდეს.

ვაზის ფესვთა სისტემის კარგად განვითარებისა და მიწის ზედა ნაწილების ვეგეტაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის წესიერად დამუშავებას. დაკვირვებებით დადასტურებულია, რომ რაც უფრო ღრმად დამუშავდება ნიადაგი და კვების რეტიმთან ერთად გაუმჯობესდება აერაცია, მით უკეთესად ვითარდება ვაზის ფესვთა სისტემა. ამიტომ განსაკუთრებით მძიმე ნიადაგების ღრმადხვნელიანი გუთნით ხვნა უნდა წარმოებდეს 60-80 სანტიმეტრ სიღრმეზე.

ნიადაგის ღრმად დამუშავების წინ ნიადაგში უნდა შეიტანოთ ორგანული (გადამწარი ნაკელი) და მინერალური სასუქები (განსაკუთრებით ნავენახარ ნაკელებში). მინერალური სასუქებიდან უკეთესია გამოვიყენოთ ფოსფორიანი და კალიუმიანი (შემოდგომით), ხოლო გაზოფხულზე — აზოტოვანი სასუქები. პლანტაჟის წინ ნაკელეთში ორგანული და მინერალური სასუქების კომბინირებულად შეტანა დადებთ გავლენას იხდენს ნიადაგის შემდგომ განაყიერებაზე.

ღრმამხვნელიანი გუთნით ნიადაგის დამუშავების შემდეგ, ვაზის დარგვამდე 2-3 კვირით ადრე, ნიადაგი ჯვარედინად უნდა მოიხნას და დაიფარცხოს.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ შემოდგომაზე და ზამთრის კარგი ამინდის პირობებში ვენახის გაშენება კარგ შედეგს იძლევა, რადგან ამ პერიოდში დარგული ვაზი გაზაფხულამდე, ე. ი. ვეგეტაციის დაწყებამდე ჯეროვნად ემზადება და ადრე გაზაფხულზე იწყებს განვითარებას. ამ მოსაზრების საფუძველზე ვაზის დარგვა შეიძლება დაწყებულ იქნას ხიმბრის ბოლოდან და, თუ თბილი დღეებია, გაგრძელდეს მთელი ზამთრის გასავლობაში.

მევენახე სპეციალისტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ვაზის სპეციფიკურ თვისებებს. ვაზის ნორმალური ზოდა-განვითარებისა და ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის აუცილებელია ნიადაგის სისტემატური გაფხვიერება. ამით ნიადაგში იქმნება ბიოლოგიური პროცესების გაუმჯობესების უკეთესი პირობები. ნაყოფისმომცემ ვენახში ნიადაგის დამუშავება მიზანშეწონილია აგრეთვე ზამთრის განმავლობაში. ამ პერიოდში ვენახში შეიძლება ეწარმოოთ: რიგთა შორის მიწის გამობარვა 20-25 სანტიმეტრ სიღრმეზე და 25-30 სანტიმეტრ სიგანეზე. შედარებით ჭარბტენიან ეკოლოგიურ რაიონებში, სადაც ვაზის დარგვა ხერელად წარმოებს, ნიადაგი 14-15 სანტიმეტრზე უნდა გაითხნოს. ამის შემდეგ საჭიროა რიგთა შორის ნიადაგის 24-25 სანტიმეტრ სიღრმეზე სპეციალური გუთნით ხვნა ნაღარად, ე. ი. ისე, რომ ვაზის ძირებს მიწა მიეყაროს. ხვნამდე უნდა შეიტანოთ ორგანული (გადამწარი ნაკელი) და მინერალური სასუქების კომბინირებული ნარევი.

სასუქებით მიწის განაყიერება ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისა და ვაზის შემდგომი ნორმალური ზრდა-განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. მევენახეობაში ცნობილია ორგანული. (ხაკელი, კომპოსტი, სიდერატები) და მინერალური (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი და სხვ.) სასუქების გამოყენება. ძირითად სასუქად მიჩნეულია ნაკელი, როგორც რთული ორგანული ნაერთი. იგი ნიადაგში მხოლოდ გადამწარი უნდა შეიტანოთ.

ორგანული ნივთიერებებით ღარიბ ნიადაგში ვაზის ზოდა-განვითარება ფერხდება. ამიტომ შემოდგომა-ზამთრის ხვნის წინ საჭიროა ჰექტარზე შეიტანოთ 80-90 ტონა გადამწარი ნაკელი. დანარჩენი სახის ნიადაგებში კი საკმაოა 50-60 ტონა ნაკელი. ორივე შემთხვევაში აქ დასახელებული სასუქების ნაკვეთში შეტანა მეტნაირობის მობნევით, სამ წელიწადში ერთხელ. მინერალური სასუქების დიდი მნიშვნელობის გამო ნიადაგში მათი ყოველწლიური შეტანა აუცილებელია. ამ სასუქების შეტანის დონა დამოკიდებულია ნიადაგის შედგენილობასა და თვით სასუქის სახეზე. ამაში დაგეხმარება აგროქიმიური კარტოგრამა.

ვენახში ხშირია სიმეჩხრე, რაც ჩვენს პირობებში ცალკეული რაიონების მიხედვით უდრის 17-35 პროცენტს. სიმეჩხრე ანუ ვაზის გაცდენა, უფრო მეტია საკოლმეურნეო სექტორის ვენახებში. ახლად გაშენებულ ვენახში სიმეჩხრე გამოწვეულია სარგავი მასალის უხარისხობით, მიკრო-ეკოლოგიური უარყოფითი პირობებით, ან თვით მეცნარეში ბიოფიზიოლოგიური პროცესების დარღვევით. გაცდენილი ადგილების შევსება აუცილებელია ახალშენ ვენახებში ვაზის გამორგვეო, ხოლო ძსხმოიარე ვენახებში—ვაზის გადაწვენით. ბუნებრივია, რომ ამ ღონისძიების განუხორციელებლად შეუძლებელია ყურძნის უხვი მოსავლის მიღება. აღნიშნული სამუშაო იწყება გვიან შემოდგომაზე, გრძელდება ზამთრის პერიოდში და ადრე გაზაფხულზე, ვიდრე კვირტები დაიწყებდნენ გამობერვას.

ახალშენი ვენახების შევსება შეიძლება მხოლოდ იმავე ჯიშის პირველხარისხოვანი დაფესვიანებული ნერგით. ამ წესით სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება ერთ, ორ და სამწლიან ვენახებში, შემდეგი წლიდან კი გაცდენილი ადგილების შევსება უნდა წარმოებდეს გადაწვენით. ამ მიზნით იყენებენ ვაზის მთლიან და უბრალო, ანუ რქით გადაწვენას. გაცდენილი ადგილების შევსების სხვადასხვა მეთოდიდან დიდი უპირატესობით სარგებლობს ე. წ. ჰაეროვანი გადაწვენა, რომელიც ჩვენს კათედრაზე დამუშავდა და დაინერგა. ეს მეთოდი, რომელიც კათედრის ასისტენტმა გ. მანჯავიძემ გაადამჯობესა რქის წვერის ჩაწვენით, ფართოდ უნდა დაინერგოს.

როგორ ხდება ამ წესით გადაწვენა?

ვაზზე ერთ-ერთ კარგად განვითარებულ სანაყოფეს, რომელიც გაცდენილი ადგილისაკენ მდებარეობს, დაეტოვებთ და გავუკეთებთ ორ ან სამ ჭრილ-ბეჭედს. ამ ადგილებიდან ამოიზრდება ფესვები. ამ ადგილებიდან ამოსული ფესვებიანი ტოტი ადვილად ეფესვიანება ნიადაგში. ამ ტოტს ეფესვიანებულ ადგილას ვაბამ ერთ ადგილზე ორ ან სამ ადგილზე ვაკეთებ ჭრილ-ბეჭედს. ეს ადგილები ეფესვიანებიან. ეს ტოტი ეფესვიანებულ ადგილებიდან ამოიზრდება ახალი ტოტები

ყველა ბავშვმა უნდა ისწავლოს!

თ. ლაშქარაშვილი.
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

ვინ არ იცნობს საქართველოს მიწაწყლებს სახალხო განათლების დონის მხრივ. ყოველ ათას მცხოვრებზე საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რაოდენობის მიხედვით მას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. და მით უფრო შეუწყნარებელია ის გარემოება, რომ ბავშვთა საკმაოდ დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ ამთავრებს 8-წლიან სკოლასაც კი.

კომუნისტურმა პარტიამ დასახა ამოცანა უახლოესი წლების განმავლობაში განხორციელდეს საგალდებულო სამუალო განათლება სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისათვის. ცხადია, ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ არ განხორციელდება რვაწლიანი განათლება.

1959-1960 სასწავლო წლიდან საქართველოში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ნაცვლად საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი განათლებისა შემოღებულია რვაწლიანი საყოველთაო სავალდებულო განათლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველმა ბავშვმა და მზარდმა 7-15 წლის ასაკში რვაწლიან სკოლაში უნდა ისწავლოს და დაამთავროს კიდეც ის.

რა მოვიმარჯოს გვაქვს დღეს ამ მხრივ რესპუბლიკაში?

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის ზრდამ, სკოლების ნივთიერი და სასწავლო ბაზის განმტკიცებამ, სკოლა-ინტერნატებისა და სასკოლო ინტერნატების ქსელის გაფართოებამ მოსწავლეთა კონტინგენტის დიდი ზრდა გამოიწვია. მოსწავლეთა კონტინგენტი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე 220 ათასი მოსწავლით გაიზარდა და ამჟამად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 840 ათასს მიაღწია.

მაგრამ ამასთან რესპუბლიკაში არის ისეთი რაიონები, სადაც არ ტარდება საჭირო ღონისძიებანი სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლებაში უკლებლივ ჩასაბმელად, რის გამო ვერ სრულდება სახალხო-სამეურნეო გეგმა მოსწავლეთა კონტინგენტის მიხედვით. მაგალითად, სწავლებაში აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 1441 ბავშვით ნაკლებია ჩაბმული, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 250, თეთრი წყაროს რაიონში — 669, ყვარლის რაიონში — 436, ქ. თბილისში — 386, ახალქალაქის რაიონში — 348, თელავის რაიონში — 161 ბავშვით ნაკლები.

ბევრგან სათანადო სერიოზულობით არ ეკიდებიან სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვას. აღრიცხვის მასალებით პირველ კლასში ჩარიცხული უნდა ყოფილიყო ლაგოდეხის რაიონის ნინიგორის საშუალო სკოლაში 81 ბავშვი, ფაქტიურად აღმოჩნდა 42; ბაისუბნის საშუალო სკოლაში 40-ის ნაცვლად 27 ჩარიცხა, საგარეჯოს რაიონის პატარძეულის საშუალო სკოლაში — 48-ის ნაცვლად 28, კაკაბეთის საშუალო სკოლაში — 75-ის ნაცვლად 65 ბავშვი. ქ. რუსთავში განმეორებით იქნა აღრიცხული სტატისტიკურ ანგარიშებში 62 მოსწავლე. სადაბო და სასოფლო საბჭოების საკომლო წიგნების ჩაწაწერები და სტატისტიკური სამმართველოს რაიონული ინსპექტორების აღრიცხვის მასალები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. აღრიცხვის საქმის ცუდად დაყენება, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე დაკისრებული აქვთ მარტო სკოლასა და მასწავლებლებს, აღრიცხვას კი უნდა აწარმოებდნენ საბჭოთა ორგანოები ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით. ამ დარგში მტკიცე წესრიგის დამყარება გადაუდებელი საქმეა.

საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის სრულად განხორციელებას განსაკუთრებით აფერხებს სხვადასხვა, უმთავრესად კი მეექვსე-მერვე, კლასებიდან მოსწავლეთა გასვლა. ასე, მაგალითად, 1957-58 სასწავლო წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სკოლების პირველ კლასებში სწავლობდა 9906 ბავშვი, ამათგან მიმდინარე სასწავლო წელს მერვე კლასებში სწავლობს 6713; აჭარის ასს რესპუბლიკაში შესაბამისად 6644-დან სწავლობს 4693 ბავშვი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 2690-დან 1628, ახმეტის რაიონში 1120-დან 644, ყაზბეგის რაიონში 219-დან 144.

სკოლიდან მოსწავლეთა გასვლას ადგილი აქვს ქ. თბილისის სკოლებშიც. მარტო გასულ სასწავლო წელს ქალაქის სკოლებიდან არასაპატიო მიზეზით 200-მდე მოსწავლე გაგიდა.

მოსწავლეთა მიერ სწავლის მიტოვებას პირველ რიგში ის იწვევს, რომ დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები დაუშვებელ უყურადღებობას იჩენენ ამ საქმისადმი, გულდამშვიდებით ურიგდებიან სკოლებიდან მოსწავლეთა გასვლას.

16-წლამდე მოსწავლეთა გადაყვანა საღამოს სკოლებში აკრძალულია, თუ სამინისტროს ნებართვა არ იქნა. ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი მაინც ცდილობს თავიდან მოიშოროს ასაკგადასულები ან ეგრეთწოდებული ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეები, გადაჰყავს ისინი საღამოს სწავლებაზე. ამ მოსწავლეთა დიდი ნაწილი საღამოს სკოლებში გადაყვანის შემდეგ თავს ანებებს მეცადინეობას.

სკოლებიდან მეტწილად გადიან სწავლაში ჩაბორჩენილი მოსწავლეები, მეორეწლიანები. ამიტომ საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელება მჭიდროდ არის დაკავშირებული სწავლა-აღზრდის შემდგომ გაუჯობესებასთან, მასწავლებელთა განათლებისა და პედაგოგიური დახელოვნების დონის ამაღლებასთან.

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მასწავლებელთა დიდი არმია ემსახურება. მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებელთა შემადგენლობა 64 ათას კაცს აღწევს, მათგან 40 ათასზე მეტს უმაღლესი განათლება აქვს, ხოლო 13 ათასი საშუალო პედაგოგიური განათლების მქონე დაწყებით კლასებში მუშაობს; ბევრი მასწავლებელი ჩაბმულია დაუსრულებელ სწავლებაში. დაწყებითი კლასებისთვისაც მასწავლებლებს ამჟამად უფრო ნაკლები სასწავლებლები ამზადებენ.

რესპუბლიკაში სისტემატურად ტარდება მთელი რიგი ღონისძიებანი მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა დახელოვნების დონის ასამაღლებლად. სხვადასხვა სახის საკურსო ღონისძიებების მეშვეობით ყოველწლიურად 500-მდე მასწავლებლის გადამზადება ხდება.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი მაინც არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ზოგიერთი მასწავლებელი სრული უპასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, ზერელედ, ფორმალურად ასრულებს მასზე დაკისრებულ საპატიო მოვალეობას. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ გასული სასწავლო წლის ბოლოს I კლასში მეორე წელს დარჩა 3.133, ხოლო მეორე კლასში — 4.662 ბავშვი.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ზოგიერთის აზრს, რომ საერთოდ აღარ დავტოვოთ მოსწავლე მეორე წელს იმავე კლასში. თუ მოსწავლეს ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ დაძლია საპროგრამო მასალა, შემდეგ კლასში ახალი მასალის ათვისებას ვერ შეძლებს და უფრო მეტად ჩამორჩება, უფრო გართულდება ჩამორჩენის ლიკვიდაცია.

რაც შეეხება პირველკლასელებს, თუ ბავშვი ხანგრძლივად არ ავადმყოფობს, არ შეიძლება არსებობდეს მათი ჩამორჩენის სხვა მიზეზი, გარდა მასწავლებლის ცუდი მუშაობისა; ბავშვის მიმართ უსულგული დამოკიდებულებისა. ასეთი პედაგოგი ბავშვს პირველსავე წელს უკარგავს საკუთარი თავის რწმენას, სწავლის ხალისსაც. კარგ მასწავლებელთან მოსწავლემ, განსაკუთრებით პირველი და მეორე კლასისამ, სასწავლო პროგრამა ძირითადად უნდა ათვისოს და დაძლიოს გაკვეთილზევე.

განათლების ორგანოებმა, სკოლების ხელმძღვანელებმა უნდა გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი, სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს იმ აბგარიშით, რომ არ მოგვიხდეს პირველ-მეორე კლასებში მოსწავლეთა დატოვება მეორე წელს. ამ კლასის მასწავლებლებმა გადაჭრით უნდა გააუჯობესონ მუშაობა, გააააქტიურონ სწავლების მეთოდები, გააძლიერონ ყურადღება თვითეული ბავშვის მიმართ და მიაღწიონ ყველა მოსწავლის მიერ საპროგრამო მასალის სრულ ათვისებას.

რესპუბლიკის სკოლებში ათასობით მუშაობენ პრინციპული, პედაგოგიური ღირსების მაღალი გრძნობის მქონე, ფართოდ განათლებული და საუკეთესოდ დაოსტატებული მასწავლებლები. ჯერ კიდევ არასაკმარისად ვეწევით მათი გამოცდილების განზოგადებას. საჭიროა აგრეთვე სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გადამუშავება, მათი ხარისხის შემდგომი გაუჯობესება.

ამჟამად, როგორც ცნობილია, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს საშუალო განათლების შინაარსის დადგენა, რის შემდეგ გაადვილდება პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გადამუშავება.

სწავლების საქმის დიდ ზიანს აყენებს აგრეთვე ის, რომ სასწავლო წლის დროს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე იყენებენ მოსწავლეებს. ზოგიერთ რაიონში V-XI კლასების მოსწავლეები გაპაყავთ სამუშაოზე, ზოგან 25-40 დღითაც კი. ცხადია, ამის გამო ვერ ესწრება პროგრამული მასალის გავლა, ბევრ მოსწავლეს უჭირს შემოკლებულ ვადებში მასალის ათვისება, და ჩამორჩება სწავლაში.

მოსწავლეებმა, რასაკვირველია, უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, მაგრამ მათი შრომითი მონაწილეობა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მას არ მოჰქონდეს ზიანი სწავლაში.

რვაწლიანი საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის სრულად განხორციელებას საგრძნობლად აფერხებს ზოგიერთი რვაწლიანი სკოლის დიდი მანძილით დაშორება პატარა სოფლების დაწყებითი სკოლებიდან. აჭარასა და აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ახალქალაქის, დუშეთის, თელავის, თეთრი წყაროს, ბოლნისისა და ზოგიერთ სხვა რაიონში მოსწავლეთა გარკვეული ნაწილს საცხოვრებელი ადგილიდან სკოლის სიშორის გამო სამუშაოება არა აქვს სწავლა განაგრძოს 8-წლიანი სკოლის V-VIII კლასებში. ამასთან დაკავშირებით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლებთან არსებული ინტერნატების ქსელის ფართოდ გაშლას და მათი მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნას.

ამჟამად საქართველოში არსებობს 230 სასკოლო ინტერნატი 8 ათასი მოსწავლისათვის. მთელი რიგი ინტერნატები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ზრუნვის შედეგად, კარგად არის მოვლილი და თავის ძირითად ამოცანასაც დამაკმაყოფილებლად ასრულებს. მაგრამ, საერთოდ, სასკოლო ინტერნატებს როგორც ადგილობრივი საპატრონისა და განათლების განყოფილებათა მხრივ, ისე, განსაკუთრებით, კოლმეურნეობათა მხრივ ნამდვილად აკლიათ მზრუნველობა. სასკოლო ინტერნატებში სახელმწიფო კვებაზე მოსწავლეთა კონტინგენტის სამუალოდ 20-25 პროცენტია, დანარჩენებისათვის კვების საკითხი უნდა მოაგვარონ მშობლებმა, რაშიც მათ აქტიურად უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობები.

საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების საქმეში სათანადო როლს ასრულებენ სკოლა-ინტერნატები. დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში 70 სკოლა-ინტერნატია 22.500 აღსაზრდელით. ბევრი სკოლა-ინტერნატი მთიან რაიონებშია აგებული, რაც შორეულ პატარა სოფლებში მცხოვრები ბავშვებისათვის ნორმალური პირობების შექმნის საშუალებას იძლევა. ასეთი სკოლა-ინტერნატების რიცხვს მიეკუთვნება დუშეთის, ბარისახოს, თიანეთის, გორდის, საღმინის, ლაჯანურის, მახუნცეთის, კირნათის, კიცხის, ჯავის, ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენისა და სხვა სკოლა-ინტერნატები. მალე დამთავრდება სკოლა-ინტერნატების მშენებლობა მეტხეთში, ლენტეხსა და ყაზბეგში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალური სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სასწავლო დაწესებულებების სრულად დაკომპლექტებას ისე, რომ არც ერთი შესაბამისი ბავშვი არ დარჩეს გარეთ. აღსანიშნაღია, რომ ამ სასწავლებლებში აღსაზრდელთა კონტინგენტი მთლიანად უზრუნველყოფილია უფასო კვებით, ტანსაცმლითა და სხვა ყოველგვარი მომსახურებით.

სკოლიდან მოსწავლეთა გამოკლებას ხშირად იწვევს სკოლების ერთი ნაწილის სუსტი სასწავლო-მატერიალური ბაზა, ცვლიანობა მეცადინეობაში. ამ საკითხებისათვის ზრუნვა ჩვენი ყოველდღიური საქმეა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ 1963 წლის აპრილში სპეციალურად მოისმინა საყოველთაო სავალდებულო სწავლების საკითხი და დასახა საჭირო ღონისძიებანი. იგი უნდა განახორციელოთ.

ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დაუშვებელი გულგრილი დამოკიდებულება სასკოლო მშენებლობის მიმართ, რომელსაც იჩენს ზოგიერთი მშენებელი ორგანიზაცია და ადგილობრივი ორგანო, რის შედეგად გასულ წელს არ დამთავრდა სასკოლო შენობების მშენებლობა ოჩამჩირეში, ცხინვალში, ნახურცილაოსა და მულაჰში, ხოლო სკოლა-ინტერნატების სასწავლო კორპუსების მშენებლობა ყაზბეგში, ლენტეხსა და განთიადში.

ზოგან არ ზრუნავენ გახანგრძლივებული დღის სკოლების (ჯგუფების) ქსელის გაზრდისათვის. ბევრ სკოლაში, განსაკუთრებით სოფლად, ცუდად არის დაყენებული კვების საქმე, არ არის მოგვარებული მოსწავლეთა ტრანსპორტით მიყვანა სკოლებში იქაც კი, სადაც ამის საშუალება არსებობს.

ამ საკითხების მოგვარება დიდად შეუწყობს ხელს საყოველთაო რვაწლიანი სწავლების განხორციელების საქმეს. მარტო სკოლა კი ვერ შეძლებს ყველა ამ საკითხის გადაწყვეტას. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები უფრო ქმედითად უნდა დაეხმარონ სკოლას, ფართოდ ჩაბას ამ საქმეში საზოგადოებრიობა.

არასრულწლოვანთა საქმეების ადგილობრივმა კომისიებმა უნდა დააწესონ მუდმივი კონტროლი საყოველთაო სავალდებულო სწავლების [illegible] მკაცრად მოსთხოვონ [illegible] ლება [illegible] მშობლებთან [illegible] ერთად, [illegible] ველყოფენ ბავშვთა და მოზარდთა გაგზავნას სკოლებში.

აუცილებლად საჭიროა მკვეთრად ამაღლდეს მშობლების როლი ბავშვების აღზრდაში. არის შემთხვევები, როცა ბავშვები და მოზარდები სკოლებში, განსაკუთრებით კი სკოლის გარეთ — კინოთეატრებსა და ქუჩებში, უხეშად არღვევენ ქცევის წესებს და ზოგჯერ კიდევაც სულიგნობენ. არ შეიძლება დამშვიდებით ვუყურეთ იმას, რომ ზოგიერთი მოსწავლე სისხლის სამართლის დანაშაულსაც კი სჩადის.

რასაკვირველია, პირველ რიგში განათლების ორგანოებმა, სკოლამ, კომკავშირის ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობა, არ დატოვონ უყურადღებოდ დისციპლინის დარღვევის არც ერთი ფაქტი და მუდამ მჭიდრო კონტაქტი იქონიონ მოსწავლეთა ოჯახებთან, ხოლო საჭირო შემთხვევებში დააყენონ საკითხი ამა თუ იმ მშობლის შესახებ იმ კოლექტივის წინაშე, საღაც მუშაობს.

აღზრდისათვის სახელმწიფოს, სკოლის დიდი ზრუნვა სრულიადაც არ ამცირებს ოჯახის პასუხისმგებლობას ბავშვთა აღზრდაში. პირიქით, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ყოველმხრივ უნდა ამაღლდეს მშობლების პასუხისმგებლობა მუდამ მტკიცე უნდა იყოს კავშირი ოჯახსა და სკოლას შორის.

ჩვენი რესპუბლიკის განათლების მუშაკთა დიდი კოლექტივის უპირველესი მოვალეობაა, სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მაღალხარისხოვნად წარმართვასთან ერთად, შეუწყალებლად და სისტემატურად იზრუნოს საყოველთაო განათლების კანონის შესრულებისათვის. არც ერთი სასკოლო ასაკის ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეთ და უკლებლივ ყველა ბავშვი სწავლობდეს რვაწლიანი სკოლის სრულ დამთავრებამდე! — აი ამოცანა.

ყოველი მხრიდან

ნ. ტ. ფედორენკოს შეხვედრა უ ტანთან

ნიუ-იორკი, 4 თებერვალი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო ეწვია გენერალურ მდივანს უ ტანს და მიაქცია მისი ყურადღება კონგოს საიდუმლო პოზიციის თვითნებობას, რომელმაც ლეოპოლდვილში დააპატიმრა გაზეთ „იზვესტიის" კორესპონდენტი ნ. ხოხლოვი. ნ. ტ. ფედორენკომ სთხოვა გენერალურ მდივანს გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი და გავლენა, რათა მიაღწიოს საბჭოთა ჟურნალისტის განთავისუფლებას.

გენერალურმა მდივანმა აღუთქვა დახმარება და აღნიშნა, ვეცდები ამისათვის ყოველივე ღონე ვიხმაროო.

ყველა ნაციხეები და სამხედრო დამნაშავეები უნდა დაისაჯოს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის მიმართვა

ბერლინი, 3 თებერვალი. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სესიაზე მიიღო ტექსტი მიმართვისა ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა 1965 წლის 8 მაისიდან შეწყვიტოს ნაციხეები და სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო დევნა.

ბონის მთავრობის საზარელი გადაწყვეტილება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას და მშვიდობიან თანაარსებობას, აღნიშნულია მიმართვაში. ეს გადაწყვეტილება არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. იგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მშვიდობისათვის სახიფათო რევანშისტული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

სახალხო პალატა ყველა ქვეყნის პარლამენტებს მოუწოდებს ყველა საშუალებით წინააღუდგნენ დასავლეთ გერმანიის მთავრობის მიერ დაგეგმილ ნაციხეებ და სამხედრო დამნაშავეთა დევნის შეწყვეტას.

შემდეგ პალატამ განიხილა ანგარიში ჩეხოსლოვაკიისა და ინდონეზიაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაციათა მოგზაურობის შესახებ.

დღის წესრიგში არის ავრეთვე მთელი რიგი კანონპროექტების განხილვა.

ვივაჭროთ სოციალისტურ ქვეყნებთან!

მ. გლეზოსის განცხადება

ბრალა, 3 თებერვალი. (საკდესი). მე მეშინია: იმისათვის, რომ საბერძნეთმა თავი დააღწიოს ძნელ მდგომარეობას, საჭიროა ინტენსიური ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებთან, განუცხადა ბრატისლავას გაზეთ „სლოვენსკას" ათენელ კორესპონდენტს საბერძნეთის თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ მანოლის გლეზოსმა. ეს გადაწყვეტდა უმუშევრობისა და სოფლის მოსახლეობის სიღატაკის საკითხს, თქვა მან შემდეგ. ჩვენ გვაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიჭარბე, მაგრამ ამავე დროს გვაქვს ეკონომიური შეთანხმებანი, რაც აბრკოლებს სარგებლიან ვაჭრობას. ჩვენ მეტად გვაფიქრებს საბერძნეთის გლეხებისა და მუშების ცუდი მატერიალური მდგომარეობა. ამიტომ ვიბრძვით მშვიდობისმოყვარეული საგარეო პოლიტიკისათვის და სამხედრო ბიუჯეტის შემცირებისათვის.

საბერძნეთის ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტია საბერძნეთის მთავრობას ბრალს სდებს, რომ არ შეასრულა წინასაარჩევნო დაპირებანი, არ გაათავისუფლა ყველა პოლიტიკური პატიმარი, რომ საბერძნეთის კომპარტია დღემდე არ არის ლეგალიზებული.

ეროვნული თავდაცვის საგჭოს სხდომა

ჰანოი, 3 თებერვალი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 1965 წლის იანვარში გაიმართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის საბჭოს სხდომა პრეზიდენტ ხო ში მინის თავმჯდომარეობით. საბჭომ შეაჯამა უკანასკნელი 10 წლის საქმიანობის შედეგები, შეაფასა ახლანდელი ვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ინდოჩინეთში და მიიღო გადაწყვეტილებანი ძირითად საკითხებზე, რომლებიც შეეხება საბჭოს შემდგომი მუშაობის ამოცანებსა და მიმართულებას ეროვნული თავდაცვის განმტკიცების საქმეში.

მდგომარეობა ლაოსში

პარიზი, 3 თებერვალი. (საკდესი). ვიენტიანში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლაოსის დედაქალაქიდან იუწყება, დღეს ჯარებმა პოლიციის უფროსის გენერალ ღამფუტაკულო სიხოს სარდლობით ცეცხლი დაუშინეს ქალაქის ცენტრს. აქამდე გენერალ სიხოს ლოდინის პოზიცია ეკავა. დღეს მან გაილაშქრა სუვანა ფუმას მთავრობის წინააღმდეგ.

შეთანხმება მიღწეულია

ბერლინში დაბრუნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაში ორივე ქვეყანას შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შესახებ. მიღწეულია შეთანხმება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

ოგბზაურობა დამთავრდა

ვაშინგტონი, 4 თებერვალი. (საკდესი). ნიკარაგუაში, კოსტა-რიკაში, პანამასა და კოლუმბიაში მოგზაურობის შემდეგ გუშინ ვაშინგტონში დაბრუნდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ამერიკის სახელმწიფოთა საქმეებში ტომას მანი და სამხედრო მინისტრი ეილსი.

განიხილავენ თავდაცვის საკითხებს

მონროვია, 3 თებერვალი. (საკდესი). სიერა-ლეონეს დედაქალაქში გუშინ მუშაობა დაიწყო აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის თავდაცვის საკითხთა კომისიის მეორე მორიგმა სხდომამ. სესია გახსნა სიერალეონეს პრემიერ-მინისტრმა ალბერტ მარგაიმ, რომელსაც ამავე დროს ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრის პოსტი უკავია. თავის სიტყვაში, როგორც ფრიტაუნის რადიო იუწყება, მარგაიმ მოუწოდა აფრიკის სახელმწიფოებს „კოლექტიური განვითარებისათვის და მტრული ძალებისაგან თავდაცვისათვის".

სესიის გახსნის წინ ფრიტაუნში გაიმართა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილის მოჰამედ სახნუნის პრესკონფერენცია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავდაცვის საკითხთა კომისია შეიქმნა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების მთლიანობის დასაცავად.

კოლონეთის სახალხო რესპუბლიკა. სურათზე: ვარშავის ერთ-ერთი კუთხე.

ბრძოლა გრძელდება

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საკდესი). ქალაქ სელმის (ალაბამის შტატი) ხელისუფლები აბუჩად იგდებენ ზანგებს, რომლებიც მოდიან, რომ რეგისტრაციაში გატარდნენ როგორც ამომრჩევლები. მათ რამდენიმე საათს აჩერებენ შენობის კართან, სადაც შერიფი რეგისტრაციას აწარმოებს. შერიფი და მისი ხელქვეთები, რომლებსაც არა აქვთ ფორმალური საფუძველი უარი უთხრან რეგისტრაციაზე, არაერთგზის ცდილობდნენ აიძულებინათ ზანგები უკანა კარიდან შესულიყვნენ შენობაში.

ვერც აბუჩად აგდება, ვერც დაპატიმრება, ვერც საპატიმრო ვერ გატეხავს ზანგების გადაწყვეტილებას განაგრძონ ბრძოლა თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებებისათვის. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ქალაქის საპატიმროები სავსეა ზანგი დემონსტრანტებით. უკანასკნელი ორი დღის მანძილზე ქალაქ სელმაში დაპატიმრებულია 1.300 ზანგი. დაპატიმრებულთა შორის არის მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი დოქტორი მარტინ ლუთერ კინგი.

გერძენთა ემიგრაცია

1964 წელს საბერძნეთიდან სამუშაოს საძებნელად ემიგრაციაში წავიდა 120 ათასამდე კაცი, მეტწილად ახალგაზრდობა 18-დან 35-წლამდე. მოსახლეობის მატებამ კი სულ 100 ათას კაცს მიაღწია.

გამგზავრება გადაიდო

ლონდონი, 3 თებერვალი. (საკდესის კორესპონდენტი ე. კორეევი იუწყება):

აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა გადადო თავისი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, რაც დასახული იყო 10 თებერვლისათვის. ცნობაში, რომელიც პრემიერ-მინისტრის კანცელარიამ გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ ვილსონმა ეს გადაწყვეტილება მიიღო იმასთან დაკავშირებით, რომ მისი გამგზავრების მთავარი მიზანი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოსვლა. მაგრამ, რამდენადაც გაურკვეველია, გაგაახლებს თუ არა სესია იმ დროისათვის მუშაობას, მან „სამწუხაროდ„ გადადო ვიზიტი. შესაბამისად გადაიდო შეხვედრები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონთან და კანადის პრემიერ-მინისტრ პირსონთან. გამგზავრების ახალი თარიღი ჯერჯერობით არ არის დასახული. რაც შეეხება ამ შეხვედრებს, როგორც პრეს ასოშიეიშნის მიმოხილველი აღნიშნავს, ლონდონში მიაჩნიათ, რომ ახლა ეს არ არის განსაკუთრებით საჩქარო.

ასეა თუ ისე, დღევანდელი ცნობა უნებლიეთ მოგვაგონებს პრემიერის ამასწინანდელ გადაწყვეტილებას გადადგო თავისი გამგზავრება ბონში ერჰარდთან შეხვედრად. მაშინაც მოჰყავდათ ობიექტური მიზეზი — უინსტონ ჩერჩილის ავადმყოფობა, მაგრამ პოლიტიკური მეთვალყურენი აღნიშნავდნენ, რომ ამჟამად გაწყობილება ინგლისის ნატოელ მოკავშირეთა შორის არ არის მაინცდამაინც ჩელსაყრელი იმისათვის, რომ ინგლისის მთავრობამ გამოიჩინოს რაიმე ინიციატივა.

რისხვა, მოწოდება

ტოკიო, 3 თებერვალი. (საკდესი). დღეს სასებოში გაიმართა მიტინგი, რომელიც ერთად მოაწყვეს სოციალისტურმა პარტიამ, პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ, კომპარტიამ და ქალაქის სხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა. მიტინგის მონაწილეებმა მთელ იაპონელ ხალხს მოუწოდეს მოაწყოს ფართო საპროტესტო კამპანია იაპონიის ნაესადგურებში ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავების შესვლის წინააღმდეგ. მიტინგში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 10 ათასმა კაცმა, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ მთელი დასავლეთ იაპონიიდან.

შემდეგ მიტინგის მონაწილენი სამ კოლონად გაემართნენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზის რაიონისაკენ, სადაც მიმალულა „ზღვის დრაკონი", და გამართეს იქ დემონსტრაცია. „ფორს ჩვენი ნაპირებიდან!", „არ შევიტრიგდებით იმას, რომ ჩვენი ქვეყანა გადაქცეინ ატომურ ბაზად!" — ერთხმად გაიძახოდნენ დემონსტრანტები.

ჩომბე ემზადება არჩევნებისათვის

პარიზი, 3 თებერვალი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება: ლეოპოლდვილში გამოცხადებული, რომ შეიქმნა ჩომბეს მომხრეთა ახალი პოლიტიკური პარტია.

ახალი პარტია, როგორც, დღეს ლეოპოლდვილის ზოოპარკში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა ჩომბეს ერთ-ერთმა მომხრემ ისაკ კალონჟიმ, შექმნილია, რათა „გაეერთიანონ ეროვნული კეთილი ნების ადამიანები, რომლებიც ბრალს უპერენ ჩომბეს საქმიანობას". კალონჟიმ განაცხადა, რომ ახალი პარტიის — „კონგოს ასოციაციათა ეროვნული კონფედერაციის" პროგრამა შეიმუშავდება ყრილობაზე ლულუაბურგში 7 თებერვალს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტია ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნევს „ომის განგრძობას მეამბოხეთა წინააღმდეგ" (ასე უწოდებენ ჩომბეს მომხრეები კონგოელ პატრიოტებს, რომლებიც იცავენ თავიანთი სამშობლოს ნამდვილ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. რედ. შენიშვნა).

მეთვალყურეთა წრეებში, რომლებიც თვალყურს ადევნებენ კონგოს ამბებს, ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ ახალი პარტიის შექმნის ფიანდი მოიზ ჩომბემ დაუკავშირა მომენტს, როცა კონგოში მალე უნდა დაიწყოს პარლამენტის არჩევნები. ცნობილია, რომ მეტი წილი პატრიოტული პარტიები კონგოში ან აკრძალულია, ან ჩაბმობილია მკაცრი რეპრესიებით, რასაც არ იშურებს ლეოპოლდვილის მთავრობა. კონგოში ფაქტიურად დამყარებულია სამხედრო დიქტატის რეჟიმი. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ჩომბე და მისი მომხრეები, როგორც ჩანს, შეშფოთებული არიან. მათ სჯერდებათ რაღაც შთაბეჭდილება ეროვნული მასშტაბის მხარდაჭერისა. თვით ჩომბეს შეუძლია მხარდაჭერის იმედი იქონიოს მხოლოდ თავის ყოფილ „სამეფო" — კატანგაში. პოპულარობით ხალხში ვერ სარგებლობენ ვერც მისი მინისტრები. ახალი პარტიის შექმნა, ჩანს, მიჩნეულია როგორც თავისებური გამოსავალი იმ ეროვნული იზოლაციის ვითარებიდან, რომელიც ახლა ჩაკარდა ლეოპოლდვილის რეჟიმის მეთაური და მისი გარემოცვა.

ეროვნული თავდაცვის საგჭოს სხდომა

ჰანოი, 3 თებერვალი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 1965 წლის იანვარში გაიმართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის საბჭოს სხდომა პრეზიდენტ ხო ში მინის თავმჯდომარეობით. საბჭომ შეაჯამა უკანასკნელი 10 წლის საქმიანობის შედეგები, შეაფასა ახლანდელი ვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡᲗᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜᲝᲕᲘᲡ ეს მოულოდნელი იყო: მთელი მსოფლიოსთვის ცნობილ მოსკოვის მანეჟის შენობაში — ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში — ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკის შევხვდით. მიდიოდა იგი, სიდინჯისა და სიდიადის განსაჯიერება, ფიქრებში წასული, ჯოხს იბჯენდა და შორს რაღაცას აკვირდებოდა.

ასეთად უნახავთ იგი თანამედროვეებს. მუდამ ასეთად წარმოგვიდგება ხოლმე იგი ჩვენ.

დიდხანს ვუყურებდით ამ ქანდაკებას. ყველაფრით ჩანდა, რომ მოქანდაკეს მასთან — თავის საყვარელ პოეტთან — მრავალი დღე და ღამე გაუტარებია, მისთვის მოუხმარებია თავისი სულის მთელი საუკეთესო სწრაფვა, აღმაფრენა, თავისი ოსტატობა.

თავდაპირველად სულ დაგვავიწყდა დაკონტურესებულიყავით მოქანდაკის სახელით, მრავალ სხვასთან ერთად შევყურებდით ამ სამშეტრიან ქანდაკებას და სულ უფრო გვაოცებდა პოეტის სახის გადაწყვეტის ამსოლუტური უბრალოება, რომელიც ხელოვნის აუარჩევია.

ქვეყნად ძალიან ბევრია მაიაკოვსკის ქანდაკებანი. მათ მილიონობით ადამიანი იცნობს. მგონსის ბევრი ნამდვილი ფოტოსურათიც კი მასზე მეტყველებს, როგორც დაუდგრომელ პოეტ-ტრიბუნზე. მაგრამ ეს ქანდაკება სულ სხვაა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: ვ. მაიაკოვსკის ქანდაკება.
გ. ქევხიშვილის ნამუშევარი.

ჩვენი აზრით, ავტორს მიუგნია გმირულისა და უბრალოდ ადამიანურის შერწყმისათვის. მისი მაიაკოვსკი კი არ გაპყივის, კუნთებს კი არ ძაბავს, ბუმბერაზი კი არ არის განივრად გადგმული მძლავრი ფეხებით, რომლების ქვეშაც თავისუფლად გაირბენს ელექტრომატარებელი; ჩვენ გადმოგვცქეროდა მაიაკოვსკი, რომელიც მანამდე არ გვენახა, მაგრამ რომელსაც დიდი ხანია ვიცნობდით.

ძალიან გვიხაროდა, რომ ჩვენს აზრებს იზიარებდნენ სხვებიც, ვინც ამ ქანდაკებას უყურებდა. მათ შორის იყვნენ ხელოვნების ზედმიწევნით მცოდნენიც — მხატვრები და მოქანდაკეები, სახვითი ხელოვნების უბრალოდ მოყვარულნიც.

— შესანიშნავია, სწორედ ასეთად მყავდა წარმოდგენილი!.. — თქვა ჩვენს ახლოს მდგომმა ახალგაზრდამ, რომელიც ბშენებელი ინჟინერი ვალიმ შჩენიკოვი აღმოჩნდა. — ხომ უაღრესად უბრალო და ადამიანურია... ეს პოეტია: მან იცის ვის ემსახურება მისი ქნარი, მან მტკიცედ იცის აწმყო და მომავალი, რომელსაც უმღერის. დიდი, შემოქმედებითი წარმატებაა!..

კარგად თქვა ახალგაზრდამ. დღემდე ხელოვნებას იზიდავდა საღე მაიაკოვსკისა — მებრძოლისა, რომელიც ლექსების ზვავით, თავისი ნიჭის ზვავით აცამტვერებდა თავის იდეურ მტრებს. მაგრამ იგი სულ სხვა იყო თავის თანამოაზრე მეგობრებთან. ეს კარგად იციან მისმა თანამედროვეებმა. ჩვენ წინ იდგა მაიაკოვსკი — ჩვენი მეგობარი და ამხანაგი, ჩვენი თანამედროვე, რომელთანაც შეიძლება პირისპირ მიხვიდე და გულახდილად ესაუბრო.

და რა სასარული განვიცადეთ, როცა შევიტყეთ, რომ ამ შესანიშნავი ქანდაკების ავტორია ჩვენი დიდიხნის ნაცნობი გიორგი იოსების-ძე ქევხიშვილი, ადამიანი, რომლის ბიოგრაფია წარმტაცი და საგულისხმო მოთხრობის მასალად გამოდგება.

გიორგი ქევხიშვილი განათლებით ინჟინერი-არქიტექტორია. მეოთხეული საუკუნე მან სამხედრო სამსახურს მოახმარა. მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში არ გამოსთხოვებია თავის სანუკვარ ოცნებას — მხატვარი გამხდარიყო. იგი ხატავდა და ძერწავდა, როგორც კი თავისუფალ წუთს გამონახავდა, მშვიდობიან დროს, ომში ყოფნისას და ომის შემდეგ. მისი პროექტით იქნა გაფორმებული ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა სამხედრო სასაფლაო ბუნცლაუში — იმ მიწაზე, სადაც დამარხულია დიდი მხედართმთავრის მიხეილ კუტუზოვის გული.

თავისი შეგნებული ცხოვრების წლებში გ. ქევხიშვილი ყოველ თავისუფალ წუთს ახმარდა ლენინის დიადი სახის შექმნაზე მუშაობას. მან გულდასმით შეისწავლა ნაწარმოებები გამოჩენილი მოქანდაკეებისა და, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედება ანდრეევისა, რომელსაც წოლად ხდა ბედნიერება ლენინისაგე პოზირებით ემუშავნა ბელადის სახის შექმნაზე. და ეზვიდა თავისი გზით, შექმნა თავიანი ლენინია. ჯერ კიდევ შვიდი წლის წინათ სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენაზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მე-40 წლისთავის ადმიიყო მიძღვნილი, მან გამოფინა ილიჩის სკულპტურული პორტრეტი, რომელსაც ეწოდებოდა: „ოქტომბრის წინ“.

ავტორმა შეძლო მკაფიოდ ეჩვენებინა ლენინის — მოაზროვნის, ლენინის — ბელადის, ლენინის—ადამიანის — ტიტანური მუშაობა. გამოხმაურებათა წიგნში, რომელიც ამ ქანდაკების ახლოს იყო, შეტანილია მრავალი ასეული აღტაცებული გამოხმაურება და კეთილი სურვილები გ. ი. ქევხიშვილისადმი.

შემდეგ მან შექმნა ბელადის კიდევ ერთი სკულპტურული პორტრეტი, რომელიც სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილებით სერიულად გამოუშვეს ბრინჯაოში ჩამოსხმითა.

ხელოვანის სახელოსნოში შეიძლებოდა ვენახათ მაიაკოვსკის სკულპტურული პორტრეტი. ის იდეა, რომ შეექმნა სახე დიდი პროლეტარული პოეტისა, ვისი მგზნებარე ლექსებიც აღაფრთოვანებდა მოქანდაკეს ილიჩის პორტრეტებზე მუშაობის დროს, გიორგის დაახლოებით ოცი წლის წინათ დაებადა.

ერთხელ, როცა მის სახელოსნოში მივედით, შეეძლეთ გვენახა პლასტილინისაგან გამოძერწილი პატარა ქანდაკება — პოეტის სილუეტი.

— ეს მხოლოდ ფიქრებია, ძიებაა, — მორიდებულად გვითხრა მოქანდაკემ და საჩქაროდ აიღო ფიგურა...

ქევხიშვილი, როგორც მოქანდაკე, დაუდგრომელი, გატაცებული ადამიანია. იგი მთელი არსებით ებმება მუშაობაში, შეერწყმის სამუშაოს.

რამდენი ღამე უთევია, თავის გმირებთან დარჩენილს! მაგრამ ერთმა თავისთავად საშინელმა ღამემ განსაკუთრებით მწვავე კვალი დაანინა მის გულს.

... ეს რამდენიმე წლის წინათ მოხდა. უაზრო ტრაგიკულმა შემთხვევამ სიცოცხლეს გამოასალმა მისი ვაჟიშვილი — სტუდენტი. იგი დაკრძალეს იქ, სადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ — მშობლიურ კახეთში. და აი იმ უკანასკნელ ღამეს, რომლის შემდეგ მიწას სამუდამოდ უნდა მიებარებინა მერაბი, მამა იჯდა და ფიქრობდა, რომ ვერასოდეს ვეღარ ნახავდა მისთვის ესოდენ მახლობელ და უსაზღვროდ საყვარელ სახეს. და ქევხიშვილმა-მოქანდაკემ ჯადაწყვიტა, რომ არ განშორებოდა შვილის სახეს. ხელებმა თვითონ მოძებნეს პლასტილინი.

კლდეზეა ჭაბუკი, რომელიც იცქირება დაბლა, მორევში, და თითქოს ხედავს თავის ტრაგიკულ ბედს. ეს უბრალო ძეგლი კი არ არის — ეს სულის გმინვაა, პროტესტია უსამართლო შემთხვევის წინააღმდეგ, ეს მამის მწუხარებისა და ხელოვანის ნიჭის შერწყმაა. არ შეიძლება ნახო ეს ქანდაკება და გულგრილი დარჩე — ეს მოცარტის რეკვიემია, რეალური ფორმებით ხორცშესხმული...

გიორგი ქევხიშვილი განსაკუთრებით მთლიანი ადამიანია. იგი არაფერს არ აკეთებს უბრალოდ, ვარჯიშისთვის, და მით უმეტეს შეკვეთით. ყველაფერს, რაზეც იგი მუშაობს, შთაგონებისა და სიყვარულის მკაფიო ბეჭედი აზის.

ამიტომ მოქანდაკე ქევხიშვილის მაიაკოვსკი ცხოვრების დიდი სიმართლეა, ჩვენი შესანიშნავი პოეტის სახის ფილოსოფიური „განზოგადებაა. ეს ქანდაკება ჯერ კიდევ ცოტას ვინმეს უნახავს, მაგრამ ისევე, როგორც მაიაკოვსკის პოეზიამ მოხიბლა ყველა, ვინც მას იცნობს, მხატვარ ქევხიშვილის ნამუშევარმაც არ შეიძლება არ მოგინადიროს ამ მძლავრი ნატურის მომხიბვლელობით, რაც ესოდენ ნიჭიერად გადმოგვიშალა მოქანდაკის ოსტატობამ.

მოქანდაკემ ბევრ რამეს მიაღწია: მან შეძლო თიხაში, რომელიც ყოველ დროს ინერტულ მასასაც მიაჩნდათ, აეწთო პოეტ-რევოლუციონერის მგზნებარე სიცოცხლე, შეექმნა სახე, რომლის გარეგნული სიდინჯისა და თავშეკავებულობის მიღმა მშვენიერი და მტკიცე სულის გზნება გამოიცნობა.

Ი. მილიავსკი,
Ი. ბარანოვი.

Გ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების კრებული — „მრავალთავის“ I წიგნი.

კრებული იხსნება აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სტატიით — „საქართველოს ისტორიის საკითხებიდან“, რომელშიც ისტორიული მეცნიერების მრავალი საინტერესო საკითხია დასმული. ავტორი აშუქებს თანამედროვე ისტორიოგრაფიის სხვადასხვა აქტუალურ პრობლემას.

მსოფლიო ისტორიოგრაფიაში დიდი მოვლენა იყო სტოკჰოლმში ჩატარებული ისტორიკოსთა XI საერთაშორისო კონგრესი. ამ კონგრესის მუშაობის შესახებ მოუთხრობს მკითხველს აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი საინტერესო სტატიაში „ისტორიკოსთა XI საერთაშორისო კონგრესი სტოკჰოლმში“. ავტორი ვრცლად აღწერს საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობას კონგრესის მუშაობაში და იმ იდეურ-მეცნიერულ ბრძოლას, რომელიც გაიმართა კონგრესზე მარქსისტ და ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს შორის სხვადასხვა პრინციპული საკითხის ირგვლივ.

კრებულში დოკუმენტი ი. სიხარულიძე აქვეყნებს საყურადღებო დოკუმენტებს 1905-1907 წლების რევოლუციის ხანიდან საქართველოში.

„ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ“ № 2

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲓᲐ ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲡ“ მეორე ნომერი.

პოეზია წარმოდგენილია კ. ნადირაძის, მ. კახიძის, ო. შალამბერიძის, ი. ჯრაბულის ლექსებით და ი. მარცინკევიჩუსის „პუბლიცისტური პოემის“ (თარგმანი ხ. ბერულავასი) დასასრულით.

პროზის განყოფილებაში შეგიძლიათ გაეცნოთ თ. გოგოლაძის, გ. დოჩანაშვილის, გ. კეკენაძის, ე. ფეიგინის ნაწარმოებებს.

ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია ა. ბაქრაძის, ნ. ნათაძის, ა. მირიანაშვილის, ი. გამრეკელის, შ. ნუცუბიძის, დ. მუსხელიშვილის, გ. კაკუშაძის წერილები და სტატიები, აგრეთვე ლიტერატურისა და ხელოვნების ქრონიკა „ყოველი მხრიდან“.

ᲕᲘᲜᲓᲐ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲝ ᲚᲝᲠᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔ

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ რობერტინო? დიახ, დიახ, სწორედ ის რობერტინო ლორეტი, რომლის ხმითაც ჩვენში აღტაცებული იყო ვოკალის ბევრი მოყვარული. ახლა იგი რობერტო ლორეტია. უკვე ოვრამეტი წლისაა, ხშირად მართავს კონცერტებს, და მისი პოვნა არცთუ იოლია.

დავრეკეთ რომში. დედამისს ჩეზირა ლორეტის სულაც არ გაკვირვებია, მოსკოვიდან რომ დაურეკეს. უკანასკნელ წლებში ამ ახალგაზრდა იტალიელი მომღერლის პოპულარობა ძალიან გაიზარდა, და მას ყოველი მხრიდან ურეკავენ.

— რობერტინო? ახლა სან-რემოშია, ფესტივალზე.

დავრეკეთ სან-რემოში, როგორც იქნა, გუშინ მივაგებინეთ მომღერალს „კაჩინო მუნიჩიპალე დელა კანცონეში“ — ქალაქის საკონცერტო დარბაზში, სადაც მიმდინარეობს მისი გამოსვლები.

მოსკოვი: რობერტო, ჩვენს მკითხველებს აინტერესებთ შენი ბედი. ხშირად მართავ კონცერტებს?

რობერტო ლორეტი: წელიწადია არ მიმღერია. ხმა მეცვლებოდა. მის შეცვლასთან ერთად სიმღერის სტილიც შეიცვალე. ახლა თანამედროვეობის მელოდიური მანერით ვმღერი. უკანასკნელ თვეებში შეეცადა ვიყავი. გადამიღეს სახელგანთქმული შვედი რეჟისორის ბერგმანის ერთ-ერთი მოწაფის ფილმში. ვასრულებდი ახალგაზრდა მომღერლის როლს. ფილმის სიუჟეტი მარტივია. ეს არის რომანტიკული თხრობა მომღერლის მეგობრობაზე ქალაქელთან. შემდეგ ვიმღერე კოპენჰაგენის ტელევიზიაში, მერმე კი — დანიის დედაქალაქის დიდ რესტორან „ამბასადორში“.

მოსკოვი: რა ხდება ახლა სან-რემოში?

რობერტო ლორეტი: აქ ჩამოვედი იმისათვის, რომ მონაწილეობა მიმეღო სან-რემოს განთქმულ ფესტივალში: ეს ფესტივალი ყოველ წელიწადს იმართება ივნისის ბოლოს, და აქ თავს იყრიან საუკეთესო მომღერლები მთელი იტალიიდან. აქ ვიმღერე იტალიელ კომპოზიტორ მოგოლის სიმღერა „ჩემო ძვირფასო“. ფესტივალი უკვე დამთავრდა და ხვალ ან ზეგ მივდივარ.

მოსკოვი: საით აპირებ წასვლას უახლოეს მომავალში?

რობერტო ლორეტი: თებერვალში იტალიის სხვადასხვა ქალაქში გამოვალ. მარტში სამი კვირით საგასტროლოდ მივდივარ ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდეგ ცოტას დავისვენებ. ივნისიდან ივლისში გამოსვლები მელის დასავლეთ გერმანიაში, აგვისტოში კი — კვლავ იტალიაში.

მოსკოვი: საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა ხომ არა გაქვს გეგმაში?

რობერტო ლორეტი: მაქვს. თქვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. ასობით წერილი მომდის საბჭოთა კავშირიდან. გადაეცით დიდი სალამი ყველა ჩემს უცნობ კორესპონდენტს თქვენს ქვეყანაში. ძალიან მინდა ჩამოვიდე მოსკოვში. საამისოდ ალბათ ოქტომბერი ყველაზე შესაფერი დრო იქნება. ჩემი იმპრესარიო მოლაპარაკებას აწარმოებს ამის თაობაზე.

მოსკოვი: როგორ გაქვს ახლა ხმა? გავიგეთ, რომ სერიოზული ოპერაცია გადაგიტანია.

რობერტო ლორეტი: ყოველივე ეს უკვე გავლილია. ხმა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ძლიერი და კარგი მაქვს.

მოსკოვი: გმადლობთ ინტერვიუსთვის, გისურვებთ შემოქმედებითს წარმატებებს.

რობერტო ლორეტი: თქვენც გმადლობთ, გადაეცით ყველა ჩემს მეგობარს საბჭოთა კავშირში, რომ ძალიან მიყვარს ისინი. მოუთმენლად ველი პირად შეხვედრებს.

(„ᲡᲝᲕᲔᲢᲣᲚᲘ ᲠᲝᲡᲘᲐ“)

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ

4 თებერვალს 8 საათზე, 12 წუთსა და 24 წამზე მოსკოვის დროით ცენტრალურმა სეისმურმა სადგურმა „მოსკოვმა“ აღნიშნა მეტად ძლიერი მიწისძვრა (ეპიცენტრში — 10-12 ბალი). წინასწარი მონაცემებით, მიწისძვრის ეპიცენტრი რვა ათასი კილომეტრით არის დაშორებული მოსკოვს და იყო პუნქტში, რომლის გეოგრაფიული კოორდინატებია ჩრდილოეთის განედის 50,5 გრადუსი და აღმოსავლეთის გრძედის 179,5 გრადუსი. (ალეუტის მთავრეხილის რაიონში).

მიწისძვრის დროს ნიადაგის მაქსიმალური გადანაცვლება მოსკოვში ექვს მილიმეტრს აღწევდა. (საკვლევი).

ᲤᲔᲘᲥᲐᲠᲗᲐ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ

ᲪᲮᲝᲒᲐᲘᲐ. (საკ. კორ.). სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, რომელიც ჩამოყალიბებულია თეკლათის ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკასთან, 128 კაცი და ქალია — მკსოველები, ქვეოსტატები და ფაბრიკის სხვა მუშა-მოსამსახურენი.

ანსამბლი რაიონის კულმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხშირი სტუმარია. მისი კონცერტები მეზობელ რაიონებშიც უნახავთ. კოლექტივს შინაარსიანი და საინტერესო პროგრამა აქვს. გასულ წელს სოფლის მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების რესპუბლიკურ დათვალიერებაში ანსამბლმა პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს პროფსაბჭოს პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვა.

მომდინარე წელს ანსამბლი მოსკოვსა და ბალტიისპირეთში გამართავს კონცერტებს.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲝ ᲚᲝᲠᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲛᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ აბიტურიენტების მიღებას მოსამზადებელ კურსებზე 1965-66 სასწავლო წლისათვის შემდეგ მუსიკალურ-თეორიულ დისციპლინებში:

სოლფეჯიო, ჰარმონია, მუსიკის თეორია (ვოკალურ განყოფილებაზე შემსვლელთათვის).

მუსიკის ლიტერატურა (მუსიკათმცოდნეობის განყოფილებაზე შემსვლელთათვის).

სწავლების ხანგრძლივობა 5 თვე.

განცხადებები მიიღება 1 თებერვლიდან 10 თებერვლამდე შემდეგი მისამართით: ლესია უკრაინკას ქ. № 2. თბილისის I საშუალო სკოლის შენობაში, ტელეფონი 9-72-43.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას სიმწიფის ატესტატი ან მუსიკალური სასწავლებლის დიპლომის პირი და ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კურსების კანცელარიაში საღამოს 7 საათიდან.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ვ. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ აბიტურიენტების მიღებას მოსამზადებელ კურსებზე 1965-66 სასწავლო წლისათვის შემდეგ მუსიკალურ-თეორიულ დისციპლინებში:

სოლფეჯიო, ჰარმონია, მუსიკის თეორია (ვოკალურ განყოფილებაზე შემსვლელთათვის).

მუსიკის ლიტერატურა (მუსიკათმცოდნეობის განყოფილებაზე შემსვლელთათვის).

სწავლების ხანგრძლივობა 5 თვე.

განცხადებები მიიღება 1 თებერვლიდან 10 თებერვლამდე შემდეგი მისამართით: ლესია უკრაინკას ქ. № 2. თბილისის I საშუალო სკოლის შენობაში, ტელეფონი 9-72-43.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას სიმწიფის ატესტატი ან მუსიკალური სასწავლებლის დიპლომის პირი და ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კურსების კანცელარიაში საღამოს 7 საათიდან.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘ

ᲓᲘᲡᲔᲠᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

1965 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, დღის 2 საათზე, № 99 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1) იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სპეციალიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ᲘᲐᲙᲝᲑ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲤᲣᲢᲘᲐᲠᲐᲫᲔ** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის“.**

24 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, დღის 12 საათზე, № 18 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 8) პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ᲞᲐᲠᲚᲝ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲜᲘᲫᲔ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„თანამედროვე ამერიკული სკოლა“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲕᲘᲜᲓᲐ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲝ ᲚᲝᲠᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔ

ᲖᲚᲕᲘᲡ დონიდან 3.500 მეტრ სიმაღლეზე გაჭიმავთ ტიან-შანზე საავტომობილო მაგისტრალის უკანასკნელი კილომეტრები.

ეს სსრ კავშირში ყველაზე მაღალმთიანი ტრასა, რომლის სიგრძე 600 კილომეტრია, ყირგიზეთის დედაქალაქ ფრუნზეს დაუკავშირებს ძველ ქალაქ ოშთან — რესპუბლიკის სამხრეთში.

ᲓᲠᲣᲑᲚᲔᲑᲘᲡᲖᲔᲓᲐ მაგისტრალი დაეჩქარებს ცენტრალური ტიან-შანის — ბუნებრივ სიმდიდრეთა ამ საწყობის შორეული რაიონების ეკონომიურ განვითარებას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: ფრუნზე — ოშის გზის გამშვადებული უბანი.
ფოტო ა. კლეიმენოვისა (საკვლევის ფოტოქრონიკა).

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ • ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ Რ. ᲯᲘᲜᲯᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ცენტრალურ საკადრაკო კლუბში გრძელდება თბილისის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ვაჟთა შორის. უკვე გათამაშდა ექვსი ტური.

◆

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲝᲭᲐᲚᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲨᲘ გრძელდება სოფლის მოჭადრაკეთა საკავშირო პირველობა. გუშინდელ ტურში ყურადღებას იპყრობდა საერთაშორისო ოსტატის მაია რანიკუსა და მახარაძელ ლ. კოროშინაძის პარტია. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ეს პარტია გადაიდო თანაბარ პოზიციაში. ვაჟთა შორის მესამე ქვეჯგუფში ლიდერობას ინარჩუნებს წყალტუბოელი ჯ. ბერაძე, რომელსაც 3 ქულა აქვს.

◆

ᲛᲐᲡᲝᲒᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ცენტრალურ საკადრაკო კლუბში დაიწყო მასობრივი ტურნირი საქართველოს ქალაქებისა და რაიონების უძლიერეს ოსტატობის კანდიდატთა და პირველთანრიგოსანთა მონაწილეობით.

შეჯიბრებაში ჩაება 44 მოჭადრაკე. ბრძოლა მიმდინარეობს „შეეიცარიული სისტემით“, სულ გათამაშდება 8 ტური.

მასობრივი ტურნირი შესარჩევი შეჯიბრებაა რესპუბლიკის 1965 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის წინ. იგი 13 თებერვლამდე გასტანს.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ • ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲘᲡ ᲨᲘᲜᲘᲨᲘ

ᲠᲘᲒᲐᲡᲐ და კაუნასში დამთავრდა ქალათბურთელ ქალთა და ვაჟთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. ქალთა გუნდებში ლიდერია რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდი, ვაჟთა კოლექტივებში — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ 3-ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მოგებათა 108-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1965 წლის 30 იანვარს ქალაქ მოსკოვში.

მოგება ხვდა სესხის ოვრამეტიოთხ თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000944	1—50	100	034488	22*)	2.500	065530	38*)	500
002364	35*)	500	034750	05*)	500	066786	30*)	1.000
003515	28*)	1.000	035370	07*)	500	069324	1—50	40
003537	50*)	500	035912	1—50	40	069541	1—50	100
004020	39*)	500	036473	18*)	500	069683	10*)	500
004740	1—50	100	036811	1—50	40	069712	05*)	500
005399	40*)	500	037295	1—50	40	071300	1—50	100
005475	1—50	40	037305	1—50	40	072388	13*)	1.000
006463	22*)	500	038964	25*)	500	072677	08*)	500
007832	17*)	1.000	038989	22*)	1.000	073627	10*)	500
008907	23*)	500	039312	1—50	100	073638	1—50	40
009119	24*)	1.000	040274	08*)	500	073983	28*)	500
009229	14*)	500	040452	1—50	40	075754	18*)	1.000
010055	1—50	40	040542	44*)	500	076931	42*)	500
010217	1—50	40	041576	1—50	40	078292	17*)	500
010407	39*)	500	042593	1—50	100	079530	45*)	500
011971	1—50	40	042600	1—50	40	080365	1—50	40
012789	1—50	40	042747	05*)	500	081053	01*)	500
012802	1—50	100	043235	26*)	1.000	082016	1—50	40
013095	20*)	1.000	043669	37*)	500	082337	1—50	40
013311	20*)	1.000	044222	30*)	500	082453	20*)	1.000
013436	39*)	500	044679	1—50	40	083113	12*)	500
014205	28*)	500	047525	20*)	500	084015	06*)	500
015974	1—50	100	047717	27*)	2.500	084815	34*)	1.000
016147	1—50	100	048117	1—50	40	084892	48*)	500
017024	26*)	500	048121	1—50	40	085514	45*)	500
017025	09*)	500	049638	23*)	500	086336	1—50	40
017427	01*)	500	050329	1—50	100	086773	17*)	500
017777	1—50	40	050375	19*)	5.000	086927	40*)	500
017949	12*)	500	050656	1—50	100	087423	1—50	100
018074	31*)	500	051014	1—50	40	087894	35*)	500
018280	1—50	40